ვერსია

№31 (1672) 23 — 29 აგვისტო ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

როგორ განვითარდა ეკონომიკა პოსტპანდემიის პერიოდში



მთავარი ეკონომიკური გზავნილები პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით

დგას თუ არა საქართველო COVID-19-ის ახალი შტამის აფეთქების საშიშროების წინაშე

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი ფხაკაძესთან

„ბრბო, რომელიც თავს საპარლამენტო ოპოზიციას უწოდებს, გარდაიცვალა!“

აპირებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ჯონდი ბაღათურია

რა ქონებას ფლობს პარლამენტარი ირაკლი ზარქუა

მოკრძალებული ქონებრივი დეკლარაცია – დეპუტატის მეუღლის სახელზე გაფორმებული ბინები თბილისში

დემურ დვალიშვილის ტრაგედიდან ლარის მკვლელობამდე

ეროვნული ვალუტის მაფიოზური X-ფალი – რატომ ფიგურირებენ საქმეში ზურაბ ჟვანია და რომან გოცირიძე, ვის აწყობდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სიკვდილი, რეალურად არსებობს თუ არა დვალიშვილის „შავი დავთარი“ და როგორ იგეგმება ფინანსური ინტრიგები

ნინო დოლიძე

ბოლო დროს, ეროვნული ვალუტა თითქოს გამყარდა. ყოველ შემთხვევაში, ისე აღარ ირყევა, როგორც ადრე, თუმცა ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ლარის გამყარება დროებითია და მალე ყველაფერი ისევ ძველ კალაპოტს დაუბრუნდება. მართლა ასე მოხდება თუ არა, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ „ვერსია“ არქივიდან ეროვნული ვალუტის ე.წ. დოსიეს გთავაზობთ.

გრძელი გზა

ვერ ვიტყვით, რომ ლარი ამერიკულ დოლარს, ინგლისურ ფუნტ-სტერლინგსა, თუ გერმანულ მარკას ენათესავება „დედის ხაზით“, მაგრამ მისი გენეალოგია საკმაოდ მრავალფეროვანი და შთამბეჭდავია. სხვათა შორის, თანამდროვე ქართულ ხურდას, სწორედ თავისი დიდი წინაპრის სახელი ჰქვია – ისტორიული დოკუმენტების თანახმად, პირველი ქართული მონეტა – კოლხური თეთრი, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე VI საუკუნეში მოიჭრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულმა ფულმა გრძელი გზა გამოიარა და, მინიმუმ, 26-საუკუნოვანი ისტორი აქვს. ამ ხნის განმავლობაში, ლარის წინაპარი არაერთხელ დაეცა და აღზევდა. ასე, მაგალითად, დავითისა და თამარის მეფობისას, მსოფლიო, უფრო სწორად, მცირე აზია და ბიზანტიის იმპერია ე.წ. „ვერცხლის კრიზისმა“ მოიცვა. მართალია, ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანადაა“ ცნობილი, მაგრამ ვინაიდან მაშინაც, დღევანდელი მსგავსად, მსოფლიოს ნაწილი ვიყავით, დავითიდან რუსუდანამდე, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ვერცხლის მონეტა აღარ მოჭრილა...

წელი-წელს მიჰყვებოდა, საუკუნე – საუკუნეს. საქართველო ხან დიდების მწვერვალზე იყო, ხანაც – სულს ღაფავდა, მაგრამ მხოლოდ გარეშე კი არა, შინაურ მტრებსაც გაუძლო... ამასობაში, მე-20 საუკუნეც დადგა და... ქართველმა პატრიოტებმა ჩრდილოეთელი სისხლიანი ბოლშევიკების სისხლიანი ავანტიურის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება სცადეს – 1918 წელს, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. პირველი რესპუბლიკის პოლიტელიტა, შეიძლება, გრძნობდა, რომ დამოუკიდებლობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ფულის გარეშე ვერ იარსებებდა. ამიტომაც, 1919 წელს, მიმოქცევაში დროებითი ეროვნული ვალუტა – ბონი შემოდის, რომელზეც, გერბთან ერთად, ქვეყნის მაშინდელი ფინანსთა მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკისა და მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას ფაქსიმილეცაა დატანილი. იმავე წლის 31 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი ანუ დღევანდელი ეროვნული ბანკის წინამორბედი ფუძნდება. პირველ ეროვნულ ბანკს მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის ძმა, ფინანსისტი და იურისტი, იასონ ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. პარალელურად, მთავრობა ეროვნული ვალუტის შექმნაზე მუშაობას აგრძელებს და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ქართულ ფულს მარჩილი ერქმევა. ცნობილი მხატვარი ევგენი ლანსერე მარჩილის ერთ-ერთი ნომინალის ნიმუშს ხატავს, მაგრამ... ბორბალი ისევ უკუღმა ტრიალდება და... 1921 წლის 25 თებერვალს, ქართული ფულის იდეას, საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად, მოდერნიზებული რუსული იმპერია 70 წლით დაასამარებს.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პირველი დეკადა. ისტორია თითქოს ნაცნობი სცენარით მეორდება – საქართველო კრემლის კლანჭებს თავს აღწევს და დამოუკიდებელ ცხოვრებას სწავლობს. მმართველმა ელიტამ, რომელსაც სახელმწიფოს მართვის გამოცდილება არ აქვს, კარგად იცის, რომ სრულფასოვანი დამოუკიდებლობა ეროვნული ვალუტის გარეშე არ მიიღწევა. ამიტომ, უზენაესი საბჭო, რომელსაც ხშირად ეროვნულ მთვარობასაც ეძახიან, ფიქრს ეროვნული ვალუტის შექმნაზე იწყებს ანუ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ცდილობს, რუსულ ე.წ. „სამანეთო ზონას“ თავი დააღწიოს...

1991 წელია. აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე მინისტრთა კაბინეტს სთავაზობს, ეროვნულ ფულს ლარი დაერქვას. იდეა მისაღებია, რამეთუ „ლარი“, ძველი ქართული სიტყვაა და განძს, ქონებას ნიშნავს. სახელმწიფოს, რომელიც დამოუკიდებლობის გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამს, ყველაზე მეტად განძი და ქონება სჭირდება. სწორედ აქედან გამომდინარე, „ლარი“ ქართული ვალუტისთვის, მართლაც, ზედგამოჭრილი სახელია, მაგრამ მოგეხსენებათ, თავისი მისტიკა პოლიტიკასაც აქვს. ჰოდა, ქართულ პოლიტიკაშიც მოვლენები ერთობ მისტიკურად ვითარდება – გამსახურდიას მთავრობა მოღვაწეობას ფატალურად ამთავრებს და... ლარი, ოთხი წლით, პოლიტიკური აბორტის მსხვერპლი ხდება. ისე, მისტიკა ვახსენეთ და, 1991-92 წლების სისხლიანი მოვლენები, შეიძლება, ერთგვარი ნიშანი იყო, რომ ეროვნულ ვალუტას ლარი არ უნდა დარქმეოდა. ვინ იცის, მფარველმა ანგელოზმა „კუპონიზაციითაც“, ეგებ, ისიც მიგვანიშნა, რომ თუკი ეროვნულ ფულს ლარს დავარქმევდით, ქვეყნის საქმე ცუდად წავიდოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ჩვეულებრივი მოკვდავები ვართ, მოკვდავები, რომელთაც პოლიტიკური ანგელოზებისა თუ დემონების ენა ხშირად არ გვესმის. სამაგიეროდ, ეს ენა ზედმიწევნით კარგად, ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებულებს ესმით. ამ ადამიანებს ზოგი ავანტიურისტებს ეძახის, ზოგი – მაფიოზებს, ზოგი – რას და ზოგიც კიდევ – რას, მაგრამ სახელს რა მნიშვნელობა აქვს? ფაქტი ერთია: სწორედ მაშინ, როცა ეროვნული ვალუტა ისახებოდა, რამდენიმე პერსონამ, ან პერსონათა ჯგუფმა ყველაფერი კარგად გათვალა ანუ საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოჩნდა და თანამოძმეთა გაღარიბებისა თუ შიმშილით სიკვდილის ხარჯზე, მილიონები „მოღუნა“.

დიახ, ასე იშვა ჩვენი საზოგადოების ახალი კასტა, რომელიც 90-იანებში, საკუთარ თავს „ნოვი გრუზინს“ უწოდებდა, დღეს კი ეს ეპითეტი აღიზიანებს და გაიძახის, „სელებრითი“ ვარო. მეტიც, ამ „სელებრითების“ უმეტესობა თვალში ნაცარს გვაყრის და გვიმტკიცებს, მაშინ, როცა ქვეყანაში არც შუქი იყო, არც – გაზი, არც – წყალი და ხალხი შიმშილით წყდებოდა, მივხვდი, უფალმა ბიზნესის კეთების ნიჭი რომ მიბოძა. ჰოდა, მივდექ-მოვდექი, ნაცნობ-მეგობრებში როგორღაც ასი დოლარი შევაგროვე და ბიზნესი დავიწყეო.

ჰო, ეს ჭეშმარიტად უფლისმოშიში „ფულოსნები“ დღეს ზემოდან გვიყურებენ და ჰგონიათ, მათ მსგავსად, ჩვენც ამნეზია დაგვემართა. არა, ქალბატონებო და ბატონებო, ცდებით, თან ძალიან მწარედ ცდებით, რამეთუ ხალხს ყველაფერი კარგად კი არა, ძალიან კარგად ახსოვს. ისე, ჩვენში დარჩეს და, „დვალიშვილის დავთარიც“ არსად გამქრალა!

ჰო, გულმა რეჩხი გიყოთ?

არ დაგზარდებით, შეგვიძლია, 112-ში დავრეკოთ...

ცოტა, სულ ცოტა მოითმინეთ, წამი-წამზე „სასწრაფო“ მოვა...

აი, მოვიდა კიდეც...

მოკლედ, ყველაფერი კარგადა: ხელოვნური სუნთქვის „პროცედურა“ დამთავრებულია – თქვენ ცოცხლები ხართ!

ასე, რომ: გაიღიმეთ!

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დემურ დვალიშვილი კი, 20 წელზე მეტია, მიწაში წევს!

არა, ბრალს არ გდებთ!

არც გასამართლებთ!

უბრალოდ, ეროვნული ვალუტის, ესე იგი, ლარის მკვლელობის X-ფაილს ვადგენთ და... საარქივო მასალებში დემურ დვალიშვილის თვითმკვლეობა თუ მკვლელობაც ავტომატურად „ამოვარდა“...

მოკლედ, ნება გვიბოძეთ, თხრობა გავაგრძელოთ. თქვენ კი, თუ სინდისის ქენჯნას, ან მინიმუმ, უხერხულობას იგრძნობთ, შეგიძლიათ, ლოცვები გააძლიეროთ და „ფულის ღმერთებს“ შენდობა სთხოვოთ!..

სისხლიანი 9 სექტემბერი

1994 წელია, 9 სექტემბერი...

რამდენიმე დღეში, ქვეყნის გაზულუქებული პოლიტიკური ელიტა სოხუმის დაცემის წლისთავს პატივს წუთიერი დუმილით მიაგებს...

პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მათი მოადგილეები და სხვა წვრილმან-მსხვილმანი ჩინოვნიკები გამოვლენ და ნიანგის ცრემლებით ასლუკუნდებიან, აფხაზეთის დაკარგვას ძალიან განვიცდით, მაგრამ დანო და ძმანო, პირობას ვდებთ, ამ თუ არა, რომელიმე ახალ წელს, სოხუმში შევხვდებით. ჩვენ გვახსოვს აფხაზეთიო...

ფარისევლები!

ახსოვთ, აბა, არ ახსოვთ წართმეული აფხაზეთი და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ათი ათაოსბით ადამიანი?! – დღედაღამ, მუხლჩაუხრელად, მათი კეთილდღეობისთვის „მუშაობენ“...

სახელმწიფო მეთაურის მისაღებში ისეთი ხალხმრავლობაა, ნემსი არ ჩავარდება. ვის აღარ ნახავთ აქ: დეპუტატებს, საქმოსნებს, რწმენაშეცვლილ კომუნისტებს, პატიოსნებს, გარეწრებს...

„პირველთან“ ყველას ერთი და იგივე თხოვნა აქვს – კრედიტი უნდა, კრედიტი... ეროვნული ბანკიდან, მაგრამ ეს დემურ დვალიშვილი რაღაც უცნაური კაცია, ზომაზე მეტად და თვალშისაცემად პატიოსანი. ჰოდა, ანგარიშს არც დეპუტატებს უწევს და არც – სხვა ჩინოვნიკებს. აი, „პირველს“ კი, „იასნია“, უარს ვერ ეტყვის და კრედიტს ყველა მის პროტეჟეს მისცემს...

და აი, ასე, ნელ-ნელა, ფურცელ-ფურცელ შეივსება

გაგრძელება მე-3 გვერდზე

დემურ დვალიშვილის ტრაგედიიდან ლარის მკვლელობამდე

მე-2 გვერდიდან

„დვალიშვილის დავთარი“, რომელიც მხოლოდ მაშინდელი კი არა, ყველა მომდევნო ხელსუფლებისთვის ადამიანების მანიპულირების ყველაზე ძლიერ კომპრომატად იქცევა, თუმცა ეს მერე მოხდება. მანამდე კი ორთაჭალაში, ძალოვანი უწყების შენობაში, სროლის ხმა უნდა გაისმას.

გასროლას „ნიუსი“ მოჰყვება, ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა, დემურ დვალიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრაო და... ვიღაცები შვებით ამოისუნთქებენ, თუმცა ამ სისხლიანი 9 სექტემბრიდან ორი ათეული წლის შემდეგ, გარდაცვლილი ბანკირის ქალიშვილი, ნინო დვალიშვილი მედიასთან საუბრისას, რამდენიმე სკანდალურ განცხადებას გააკეთებს და მხოლოდ მამის თვითმკვლელობის ვერსიას კი არა, „დვალიშვილის დავთრის“ არსებობასაც ეჭვქვეშ დააყენებს.

ისე, შეიძლება, ზოგმა იკითხოს, ლარი მიმოქცევაში დვალიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ შევიდა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თვითმკვლელობას თუ მკვლელობას ლარის ტრაგედიასთან რა საერთო აქვსო, მაგრამ საარქივო მასალები უტრირების საშუალებას იძლევა. ყოველ შემთხვევაში, მინიმუმ, გონივრული ეჭვი ჩნდება, რომ ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტისა და ეროვნული ვალუტის ტრაგედია ერთი მედლის ორი მხარეა, თუმცა მოდით, მოვლენები ქრონოლოგიურად გავიხსენოთ.

1992 წლის ნოემბერში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დემურ დვალიშვილი ინიშნება. დვალიშვილი ქართული პოლიტიკური და ეკონომიკური წრეებისთვის უცნობი ფიგურა არაა: ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჯერ ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში მუშაობდა, შემდეგ – საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და თავმჯდომარედ. 1977-1981 წლებში, ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძე) რაიონის რაიკომის მდივანია. 1981-დან 1990 წლამდე კი – საქართველოს ფინანსთა მინისტრი. 1990 წელს, დვალიშვილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი და საბიუჯეტო-საბანკო ქვეკომისიის თავმჯდომარე ხდება.

ზვიად გამსახურდიას საქართველოდან გადევნის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დვალიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ინიშნება და ამ თანამდებობაზე ერთი წელი ანუ 1992 წლის ნოემბერიდან 1993 წლის ოქტომბრამდე მუშაობს.

და მაინც, რა კავშირშია ლარის მკველობა დემურ დვალიშვილის ტრაგედიასთან? – ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი თუნდაც იმიტომ არ არსებობს, რომ დვალიშვილის გარდაცვალება დღემდე ბურუსითაა მოცული. ყოველ შემთხვევაში, ოჯახს ოფიციალური ვერსიის არ სჯერა და აცხადებს, რომ ბანკირი თავს არ მოიკლავდა. ამასთან, დღემდე ეჭვქვეშ დგას იარაღის საკითხი ანუ როგორც დემურ დვალიშვილის ქალიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, მამამისს პისტოლეტი არ ჰქონდა და მკვლელობის მერე ჩაუდეს. ამავე ინტერვიუში, რომელიც ორი წლის წინ, ერთ-ერთ ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა, ნინო დვალიშვილი ბანკირის არაპირდაპირ მკვლელად საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, თენგიზ სიგუას ასახელებს და იქვე, დასძენს, მამაჩემის მკვლელობა დიდი ხნის დაგეგმილი იყოო:

„მამას ხშირად უწევდა მივლინებით საზღვარგარეთ გამგზავრება. ერთხელ, ჩეხეთში იმყოფებოდა და, როგორც ითქვა, აპირებდნენ, თვითმფრინავი, რომლითაც საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოეგდოთ. ამის შემდეგ, თვითმფრინავი თბილისში საიდუმლო მარშრუტით დაბრუნდა. ხშირად ყოფილა მუქარის ზარებიც, შუბლს გავუხვრეტთ, ქუჩაში გავაგორებთო.

მამას თავის მოსაკლავი არაფერი სჭირდა და არც იარაღი ჰქონდა... ტელევიზიით იმავე დღეს გავრცელდა ვერსია, რომ მამამ იარაღი თითქოს პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო. არადა, რეანიმაციაში სანიტარი შეესწრო, როგორ ცდილობდნენ მისი პიჯაკის ჯიბეში იარაღის ჩადებას. როგორც ჩანს, არ ჩაეტია და შემდეგ განაცხადეს, დვალიშვილმა იარაღი შარვლის სარტყლიდან ამოიღოო. საქმე ისე დახურეს, იარაღის წარმომავლობა გაურკვეველი დარჩა. მამას იარაღი ერთი წლის ჩაბარებული ჰქონდა, ბანკის სეიფში იდო. გარდა ამისა, შემავალი და გამავალი ჭრილობა ადასტურებდა, რომ ტყვია შორიდან იყო ნასროლი. ეს ინფორმაცია ახლობელმა ექსპერტმა მოგვაწოდა“.

მოდით, გავყვეთ ვერსიას, რომ დვალიშვილმა თავი კი არ მოიკლა, არამედ, მოკლეს. თუ ასეა, მაშინ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – ვინ და რატომ მოკლა ადამიანი, რომელსაც ეროვნული ბანკი ერთი წლის დატოვებული ჰქონდა? ხალხური მითოსით, ბანკირის თავიდან მოცილების საბაბ-მიზეზი ის ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გახდა, რომელსაც ეროვნული ბანკი დვალიშვილის პრეზიდენტობისას ატარებდა. საგულისხმოა, რომ დვალიშვილის სიცოცხლეშივე აპატიმრებენ მის ყოფილ მოადგილე ფიჩხაძეს, რომელიც ბანკირის საიქიოს გასტუმრების შემდეგ, როგორც ნინო დვალიშვილი ამბობს, ისრაელში ნახეს.

რატომ დაიბარეს შსს-ში, დაკითხვაზე, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი და, საერთოდ, რეალურად არსებობს თუ არა „დვალიშვილის დავთარი“? – ეს ლარის X-ფაილის ერთ-ერთი საკვანძო კითხვაა.

ისე, თუკი დვალიშვილი დამნაშავე იყო ანუ მის მიმართ გონივრული ეჭვი არსებობდა, საინტერესოა, ფიჩხაძესთან ერთად, რატომ არ დააპატიმრეს? ასევე, საკითხავია, დვალიშვილი იმ მასშტაბის ფიგურა იყო თუ არა, რომ საბჭოთა ანაბრების ბედი ერთპირონულად გადაეწყვიტა და ქვეყანა „კუპონის ჭაობში“ ჩაეფლო?

საერთოდ, ლარის X-ფაილის შესწავლისას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კუპონიზაცია ვიღაცისა თუ ვიღაცების კარგად დაგეგმილი ფინანსური აფერა იყო, რომელიც მიზნად ხალხის გაღატაკებასა და ცალკეული სუბიექტების „გაფულოსნებას“ ემსახურებოდა. ეს, შესაძლოა, დილეტანტური შეფასებაა, მაგრამ ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს. ისე, კუპონზე საუბრისას, გვინდა თუ არა, ნაცმოძრაობის აწ უკვე ყოფილი სახე, რომან გოცირიძე გაგვახსენდება, რომელსაც 90-იანების დასაწყისში, ვიცე-პრემიერის თანამდებობა ეკავა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდა. სხვათა შორის, იყო დრო, როცა გოცირიძეს, ნოდარ ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მადლიერი“ ხალხი „ალ კუპონეს“ ეძახდა, კუპონებს კი – „გოცირიკებს“.

„დვალიშვლის დავთარი“

ლარის X-ფაილი ამოუწურავი და მრავალფეროვანია. ამიტომ, „ვერსია“ ყურადღებას მხოლოდ მნიშვნელოვან ნიუანსებზე ამახვილებს. ამ ნიუანსებიდან კი, წეღანდელი თქმისა არ იყოს, ერთ-ერთი მთავარი „დვალიშვილის დავთარია“ ანუ ხალხური მითოსით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისას, დვალიშვილი ე.წ. „შავ სიას“ აკეთებდა – სპეციალურ ბლოკნოტში იმ დეპუტატების, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა თუ ბიზნესმენ-საქმოსნების გვარებს იწერდა, რომელთაც ეროვნული ბანკიდან კრედიტი ქვეყნის მეთაურის შუამდგომლობით გაჰქონდათ. არაოფიციალური ვერსიით, დვალიშვილი თავიდან სწორედ იმიტომ მოიშორეს, რომ კრედიტი უკან არ დაებრუნებინათ. ამ ვერსიას არსებობის უფლება, რასკვირველია, აქვს, მით უმეტეს, ახლა, როცა ეროვნულმა ვალუტამ, თავისი არსებობის განმავლობაში, გაუფასურების რეკორდი მოხსნა – დღესაც ამბობენ, რომ ლარის კურსის თამაშით, ვიღაც-ვიღაცები სოლიდურ თანხას შოულობენ. სხვათა შორის, წლების წინ, ამაზე ეკონომიკის მაშინდელმა ექსპერტმა და ახლა უკვე ფინანსთა მინისტრის მოადგილე მიხეილ დუნდუამაც მიანიშნა და რამდენიმე კომერციული ბანკი, პირდაპირ თუ ირიბად, ფინანსურ მაქინაციებში ამხილა.

დღეს საქართველო, როგორც სახელმწიფო, ასე თუ ისე, შემდგარია – სახელმწიფო ინსტიტუტები, ვერ ვიტყვით, გამართულადო, მაგრამ მაინც ფუნქციონირებენ და თუკი ამ სიტუაციაში, მავანნი ფინანსურ მაქინაციებს არ ერიდებიან, 90-იანებში, მით უმეტეს, არ მოერიდებოდნენ, რადგან მაშინ სახელმწიფო, პრაქტიკულად, არ არსებობდა და ქვეყანას შეიარაღებული ხალხი მართავდა ანუ მარტივად რომ ვთქვათ, წყალი ამღვრეული იყო. ამღვრეულ წყალში კი, მოგეხსენებათ, თევზის დაჭერა ადვილია...

რაც შეეხება ყბადაღებულ „დავთარს“, გნებავთ, „შავ სიას“, გარდაცვლილი ბანკირის ქალიშვილი, ნინო დვალიშვილი ამბობს, რომ „შავი სია“ თენგიზ სიგუას მოგონილია.

„ინფლაცია, რომელიც ეროვნული ბანკიდან მამას წამოსვლის შემდგომ დაიწყო და კატასტროფულ მასშტაბს მიაღწია, თურმე, მხოლოდ დვალიშვილის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ბრალი ყოფილა. წამოიწია სხვა ვერსიამაც და უნდათ, რომ ეს ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გაუცემელ ანაბრებს დაუკავშირონ... არადა, ლაპარაკია მინისტრთა კაბინეტის ყოფილი წევრების – თენგიზ სიგუასა და რომან გოცირიძის რეზოლუციებით გაცემულ სოლიდურ კრედიტებსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადარიცხულ თანხებზე. ეროვნულ ბანკში არის ყველა ინფორმაცია, მათი ნებართვით, ვისზე და რომელ ქვეყნებში, რა ოდენობის სესხები გაიცემოდა. ე.წ. „ჟურნალი“ და „შავი სიაც“, რომელიც, თურმე, მამას ჰქონდა, სიგუას მოგონილია... ჩემთვის თენგიზ სიგუა მამაჩემის მკვლელთან ასოცირდება. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ყველაფერი ის, რასაც სიგუა 1993 წლის დასაწყისიდან აკეთებდა...

1992-93 წლებში, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე ლაპარაკობენ, რაც თითქოს გაუცემელი საბჭოთა ანაბრების თემასთანაა დაკავშირებული და რატომღაც არ ითვალისწინებენ იმხანად ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რა ხდებოდა 1992 წლის იანვრიდან, ეროვნულ ბანკსა და საბანკო სისტემაში. ნახონ, რა რაოდენობის კრედიტი გაიცა ნაღდი ფულის სახით 1993 წლის ოქტომბრიდან და ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ შემდეგ ილაპარაკონ. მამა არასოდეს გაურბოდა პასუხისმგებლობას, ამბობდა, შესაძლოა, მეც შემეშალა, რაღაც ბოლომდე ვერ გავთვალე და გამორიცხული არაა, ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე მცირე დოზით რაღაც უარყოფითი გავლენა მოეხდინა, მაგრამ ეს უმნიშვნელო იყო და არა – განმსაზღვრელიო“, – აცხადებს ნინო დვალიშვილი ინტერვიუში, რომელიც ერთ-ერთმა ქართულმა გამოცემამ, დემურ დვალიშვილის გარდაცვალებიდან ზუსტად 20 წლის შემდეგ, გამოაქვეყნა.

ბანკირის ქალიშვილის უარყოფის მიუხედავად, ყოფილი პრემიერი თენგიზ სიგუა „ძველ ჩვენებას“ აწვებოდა და დვალიშვილის ტრაგედიიდან ორ ათეულზე მეტი წლის შემდეგაც, აქცენტს კვლავ „შავ სიაზე“ აკეთებდა:

დასასრული მე-15 გვერდზე

„ბრბო, რომელიც თავს საპარლამენტო ოპოზიციას უწოდებს, გარდაიცვალა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე, „ვერსია“ პარტია „ქართული დასის“ თავმჯდომარე ჯონდი ბაღათურიას ესაუბრება.

აპირებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ჯონდი ბაღათურია

– ბატონო ჯონდი, აპირებთ თუ არა პოლიტიკურად გააქტიურებას უახლოეს მომავალში?

– ჯერ ჩამოყალიბებული არ ვარ პოლიტიკურ გეგმებში, ამიტომ ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

– ოპოზიციამ უკვე დაიწყო არჩევნებისთვის მზადება... რამდენიმე დღის წინ, სოფო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიას ჩაუდგება სათავეში...

– ძალიან დაბალი პერსპექტივა აქვს ნაცმოძრაობას. მთელი ეს ბრბო, რომელიც თავს საპარლამენტო ოპოზიციას უწოდებს, პრაქტიკულად, გარდაიცვალა პოლიტიკურად. „ბოლო ლურსმანი კუბოს თავად ჩაჭედეს“, როცა სრულიად სამარცხვინო სპეკულაცია დაიწყეს რაჭაში მომხდარი ტრაგედიით. ამან აჩვენა, რომ მათი პოლიტიკური პულსი გაჩერდა, „ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ჰყავდა მიერთებული“ ისინი „ქართულ ოცნებას“, რადგან ძალიან სჭირდება...

– ოპოზიციას გულისხმობთ?

– ნაცმოძრაობას და იმ ბრბოს ვგულისხმობ, რომელიც თავს საპარლამენტო ოპოზიციას ეძახის... ამ ბრბოს მორალის სიმულაციაც არ შეუძლია. ღიად დგანან ღალატის გზაზე, სპეკულანტობენ...

ნაცმოძრაობა აღარ არსებობს, როგორც ელექტორატის მქონე პოლიტიკური სუბიექტი, მაგრამ არსებობენ სააკაშვილის მხარდამჭერები... სააკაშვილმა, კიდევ რამე სისულელე თუ არ ჩაიდინა, შეიძლება 3-4% მოაგროვოს... მეტი დამთავრებულია... სოფო ჯაფარიძეს საერთოდ არ ვიცნობ, შეიძლება, ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ საერთოდ არ ვიცი, ვინაა... ადრე ყველას ვიცნობდი, ვინც ნაცმოძრაობაში კომენტარს აკეთებდა, ახლა კი ისეთ ადამიანებზე მეკითხებით, რომელთაც გამოცდილება უნდა ჰქონდეთ...

– კი, მაგრამ პოლიტიკაში ახალი სახეების შემოსვლის აუცილებლობაზე ხომ ხშირად საუბრობთ...

– დიახ, გადასარევია ახალი სახეების პოლიტიკაში შემოსვლა, მაგრამ ამას თავის ტექნოლოგია აქვს. არჩევნების წინ, ახალ სახეზე ჩამოჰკიდო ხმების მობილიზაციის პასუხისმგებლობა, ეს მეორე სიბრიყვეა. ხმები უნდა მოაგროვოს მან, ვისაც იცნობენ.

– და თქვენ მიიჩნევთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ხმების მხოლოდ 3-4%-ს მოაგროვებს?

– დიახ, პოლიტიკურ სექტას თუ დავარქმევთ, მას ჰყავს ასეთი ტიპის ამომრჩეველი.

– თუმცა, ყველა არჩევნებში ნაცმოძრაობა გაცილებით მეტ ხმას იღებს ხოლმე...

– თუ ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეაერთა კიდევ ხელისუფლებამ, შეიძლება, კიდევ დაემატოს... ხელისუფლებას ნაცმოძრაობა ჰაერივით სჭირდება, უფრო სწორად, სჭირდება საფრთხობელა იმის საჩვენებლად, მე თუ ხმას არ მომცემთ, ის მოვა ხელისუფლებაშიო და სხვათა შორის, ხელისუფლების რეიტინგმა მოიმატა იმიტომ, რომ სწორად იქცევიან...

– საპარლამენტო ოპოზიციას ბრბოდ მოიხსენებთ, გამყიდველებს უწოდებთ... მკითხველი იფიქრებს, რომ კოლეგებს ასე უდიერად, მტკიცებულებების გარეშე, არ უნდა მოიხსენებდეთ...

– მტკიცებულებების გარეშე, ასე არ მოვიხსენიებ კოლეგებს და კოლეგები არ არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, სამშობლო გაყიდონ! ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელმაც სახელმწიფო ღალატი ჩაიდინა და ცდილობდა, დავით გარეჯის მონასტრის დიდი ნაწილის აზერბაიჯანისთვის გადაცემას... დღეს, ბრბო რომ დარბის და ტურისტებს ქვებს ესვრის, ეს საბოტაჟი არ არის?

– სხვათა შორის, ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა მზაობა, გახდეს დიდი პოლიტიკური გაერთიანების პლატფორმა... სტრატეგია აღმაშენებელი გაერთიანების მომხრეა... როგორ მომავალს უწინასწარმეტყველებთ ასეთ გაერთიანებას?

– მარტივ შეკითხვას დაგისვამთ: ერთს პლუს ნული, რამდენია? ხუთჯერ რომ დაუმატოთ ერთს ნული, ხომ ისევ ერთი იქნება? ნაცმოძრაობა არის ერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც შესაძლოა, 2-3% აიღოს, თუ მიშამ დაუჭირა მხარი. შეიძლება, არ დაუჭიროს მხარი, რადგან მიშა უკმაყოფილოა. იქ რაღაც გადატრიალება მოხდა და ვანოს და „კეზერასთან“ თუ ვერ შეთანხმდა, შეიძლება, სხვას დაუჭიროს მხარი და იმ 2-3%-საც სხვა წაიღებს... დანარჩენი მიამატეთ რამდენიც გინდათ, იმდენი ნული...

– რამე ინფორმაციას ფლობთ ნაციონალურ ნოძრაობაში მიხეილ სააკაშვილსა და მერაბიშვილ-კეზერაშვილის დაპირისპირებაზე?

– არა, რა ინფორმაცია უნდა ამას. მოუსმინეთ ქალბატონ ალასანიას და თვითონ მიშას... მისი ბოლო წერილი ნახეთ, ჯერ ხომ ამბობდა, დემენცია მაქვსო, ბოლოს კი გამოაქვეყნა წერილი, პრემიერ-მინისტრობა რომ მოინდომა, აბსოლუტურად ადეკვატური წერილი იყო და კენჭებს ისროდა, უპირატესად, ოპოზიციის ბანაკში და არა ხელისუფლების და უპირატესად, თავისი პარტიის „ბოსტანში“...

– სხვათა შორის, ყურადღებამისაქცევია ის ფაქტიც, რომ სააკაშვილის კამპანიას არა ხაბეიშვილი, პარტიის თავმჯდომარე, არამედ, საკრებულოს დეპუტატი, სოფო ჯაფარიძე იწყებს...

– დიახ და ხომ არსებობს ქცევის წესები... ხომ უნდა მივხვდეთ ამ ყველაფრით, რაც ხდება... ჯერ ერთი, რატომ უნდა შევიწუხოთ თავი, ნაცმოძრაობაში მიმდინარე რამე პროცესით. ნაცმოძრაობა მთლიანადაა დამოკიდებული ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებაზე“. შეიძლება, სუნთქვის აპარატზე შეაერთონ და ის 3-5%, 7-8%-მდე გაუზარდონ...

– როგორც ჩანს, მიგაჩნიათ, რომ მმართველი ძალა უალტერნატივოდ დარჩება ხელისუფლებაში...

– რა თქმა უნდა, მეორე წელია, ხელისუფლება იმდენად სწორად იქცევა პოლიტიკურად და მორალურად, რომ ამას ხალხი ხედავს. ამათ კიდევ ისე შეაზიზღეს ხალხს თავი, რომ ალტერნატივა არ ჩანს.

– ხელისუფლების მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებთ... კონკრეტულად, რა ნაბიჯები გადადგეს სწორად?

– ხელისუფლების მხარდამჭერი კი არა, ობიექტური შეფასებაა. აბსოლუტურად სწორ საგარეო პოლიტიკურ კურსს მხარი დავუჭირე და ეს ობიექტური რეალობაა.

ხმას მარტო კაი ბიჭობისთვის არ გაძლევენ, მე და ჩემმა კოლეგებმა რომ შევძლოთ და მათი საპირწონე ძალა შევთავაზოთ, შესაძლოა, ხელისუფლებას კონკურენცია გავუწიოთ და საკმაოდ ბევრ ხმას წამოვიღებთ. არის შანსი, რომ რაღაც შევაკოწიწოთ და შევქმნათ, მაგრამ ახლა დარწმუნებული არ ვარ, რომ შევძლებთ, საზოგადოებას „ქართული ოცნების“ ალტერნატივა შევთავაზოთ. სიმართლე გითხრათ, ვერც პოლიტიკურ სიმწიფეს ვხედავ ამ ფლანგზე... ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ხელისუფლებისთვის მაღალი კონკურენციის შემცველი ფლანგია, ვგულისხმობ კონსერვატიულ, ტრადიციულ ფლანგს, მაგრამ ამ ფლანგზე ყველაზე ცუდი მდგომარეობაა...

– მოკლედ, არჩევნებში მონაწილეობას არ გეგმავთ, არა?

– ყოფილი პოლიტიკოსები არ არსებობენ, მაგრამ რაღაც აზრი უნდა ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობას. ჩვენი ფლანგისთვის, შეიძლება, არაა სახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ ზოგადად, ქვეყნისთვის, არაა ცუდი მდგომარეობა...

– რას იტყვით ფასების ზრდაზე, სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირესა და იმაზე, რომ დაკარგული ტერიტორიები ჯერ კიდევ ოკუპირებულია? ქვეყანაში არის მუდმივი პოლიტიკური დაპირისპირება...

– მე ვთქვი, ეს პრობლემები მოგვარდა-მეთქი? ვთქვი, რომ არაა ცუდი მდგომარეობა, რადგან ყველაფერ ამის გადაჭრის პერსპექტივა ჩანს ხელმისაწვდომ მანძილზე...

დგას თუ არა საქართველო COVID-19-ის ახალი შტამის აფეთქების საშიშროების წინაშე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

დგას თუ არა საქართველო COVID-19-ის ახალი შტამის აფეთქების საშიშროების წინაშე და რა ვითარებაა პანდემიის მხრივ მსოფლიოში? – „ვერსია“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტს, აკრედიტაცია კანადას წარმომადგენელს საქართველოში, გიორგი ფხაკაძეს ესაუბრა:

– პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ სიტუაცია საპანიკო არაა, მაგრამ საყურადღებოა. ვირუსი არსად წასულა, მუტაციას განიცდის და ბატონი თენგიზ ცერცვაძის თქმით, საქართველოში, ყოველდღიურად, ოფიციალურად, 300 ადამიანი ინფიცირდება, ესე იგი, თვეში, დაახლოებით, 10-20 ათასი ადამიანი ინფიცირდება.

ახლა მსოფლიოში ძირითადად გავრცელებულია სამი ვარიანტი: xbb 1.5, xbb 1.16 და eg5. ეს ბოლო ვარიანტი 60-ზე მეტ ქვეყანაშია დადასტურებული ოფიციალურად. ყველაზე დიდი აფეთქება ფიქსირდება ათ ქვეყანაში, მათ შორის, ჩვენს სამეზობლოში – რუსეთში. eg5 იმდენად სწრაფად ვრცელდება, რომ, მაგალითად, შოტლანდიაში, დღეში 200 პაციენტი ჰყავთ... ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ყველაზე მაღალ რისკ-ჯგუფში არიან 70 წელს გადაცილებული ადამიანები, რომელთაც აქვთ ქრონიკული დაავადება – მთელ მსოფლიოშია ეს ტენდეცია.

ვირუსი მიმდინარეობს იოლად, მაგრამ არის გრიპზე უფრო რთული და ყველაზე მეტად ერჩის 70 წელს გადაცილებულ, ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებს.

– აქვს რამე განსხვავებული, დამახასიათებელი სიმპტომი, რის მიხედვითაც შევძლებთ ამ შტამის ამოცნობას?

– არა. მგონი, მთელმა მოსახლეობამ იცის, რაც არის ჟOVID-19 და რა სიმპტომებიც იყო, იგივეა. უბრალოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ რისკ-ჯგუფში მყოფი ადამიანებისთვის, შეიძლება, იოლად გადასატანი არ იყოს.

– ბატონო გიორგი, რას იტყვით ვაქცინაციის შესახებ? საქართველოში აღარაა აქტუალური კოვიდაცრები და ევროპაში რა ვითარებაა ამ მხრივ?

– საქართველოში ვაქცინაცია ერთი წლის წინ დასრულდა და, პრაქტიკულად, აღარავინაა აცრილი, რადგან რომელი აცრებიც იყო, მათი ეფექტიანობა ოთხ-ექვს თვეს გაგრძელდა ანუ დღეს საქართველოს მცხოვრებლები აცრილები არ არიან და არავინაა დაცული.

რაც შეეხება ევროპას, მოდი, ასე გავყოთ – მდიდარი და ღარიბი ქვეყნები. მდიდარი ქვეყნები ვაქცინაციას იწყებენ სექტემბერში და სექტემბრის ბოლოს გამოჩნდება ახალი ვაქცინა, რომელიც კონკრეტულად, ომიკრონზეა გათვალისწინებული, რადგან ომიკრონის შტამი ცირკულირებს ახლა.

სამწუხაროდ, საქართველო ღარიბი ქვეყანაა და არც კი განიხილება ვაქცინების შემოტანა. საქართველოს მოსახლეობას ერთადერთი, ის დარჩენია, რომ დაიცვას დისტანცია და ხელები დაიბანოს ხშირად. ევროპაში პრიორიტეტულები იქნებიან 70 წელს გადაცილებული ადამიანები და პირველად მათ ექნებათ წვდომა ვაქცინაზე, შემდეგ კი ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებს და იმ ძირითადი პროფესიების მქონეებს, რომელთაც ბევრ ხალხთან აქვთ კონტაქტი.

– საქართველოში არც ფასიანი კოვიდვაქცინა არსებობს?

– არა, საქართველოში ფასიანი კოვიდვაქცინა არ არსებობს. ზოგადად, ვაქცინები ცენტრალიზებულია და ყველა ვაქცინა აღრიცხულია. კერძო პირი ვერ იყიდის კოვიდვაქცინას საქართველოში.

– თქვენი რეკომენდაცია როგორია, უნდა შემოიტანოს ვაქცინები სახელმწიფომ, თუ ვითარებას უნდა დააკვირდნენ და შესაბამისად იმოქმედონ?

– უკვე დაგვიანებულია. ზამთარი მოდის და იქნება რესპირაციული დაავადება, გრიპს პლუს კოვიდი. სექტემბერ-ოქტომბერში, როგორც კი პირველი გაციება წამოვა, ვნახავთ, როგორ გადაიტვირთება საავადმყოფოები. ძირითადად, ბავშვები და 70 წელს გადაცილებულები იქნებიან ჯგუფში, რომელიც ყველაზე მეტად იქნება დაუცველი, თუმცა სამწუხაროდ, ვერაფერს გავაკეთებთ, რადგან სახელმწიფო აკეთებს იმას, რასაც ითხოვს მოსახლეობა. ჩვენთან კი ტოტალური რუსიფიკაცია მოხდა – რუსეთში ვაქცინა არ არის და რუსული პროპაგანდა, სამწუხაროდ, საქართველოში მუშაობს.

სახელმწიფოსგანაც არ წამოვიდა ისეთი ძლიერი დამოკიდებულება, როგორიც თურქეთში იყო და არის. არასდროს გიფიქრიათ, თურქეთში რატომ არ არის ანტივაქსერული მოძრაობები და რატომ არის ძლიერი ანტივაქსერული მოძრაობა რუსეთში? – ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოებრივი მიდგომა განსხვავდება. საქართველო თურქეთის კი არა, რუსეთის გზას გაჰყვა...

– რა გააკეთა თურქეთის მთავრობამ სწორად?

– ძალიან ჭკვიანურად მოიქცა. იქ საგანმანათლებლო ღონისძიებები ჩაატარა შსს-მ და ერთ ანტივაქსერულ განცხადებას ვერ ნახავდით ვერც ტელევიზიაში და ვერც ინტერნეტში. ანტივაქსერული მოძრაობაც კი არაა თურქეთში ანუ არ ხდება ის, რაც ხდება საქართველოში. ვაქცინაზე რომ დაიწყო ლაპარაკი, გამოგიხტება ვიღაც ასტროლოგი, ან ბალახის გამყიდველი და „გეკაჩავება“, რომელსაც ცხოვრებაში არ წაუკითხავს ვაქცინაციაზე არც წიგნი და არც სტატია. თურქეთში ვაქცინაცია ისე ჩატარდა, პრობლემა არ შექმნილა, კარგად, სწორად მიაგვარეს საკითხი. ჩვენ წავედით, პირდაპირ, რუსული მოდელით...

– ბატონო გიორგი, საქართველოში, ბოლო დროს გაჩნდა განცდა, რომ პანდემია დასრულდა და კოვიდი სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა... რა ხდება ახლა, პანდემიის კიდევ ერთი აფეთქების წინაშე ვდგავართ?

– სამი წლის წინანდელ ვითარებასთან განსხვავება ისაა, რომ დღეს, „ლოქდაუნი“ და ე.წ. დრაკონული მეთოდები აღარ იქნება. მაშინ მართლა საშიშროება იყო, უნდა გვახსოვდეს, რომ 17 ათასზე მეტი ქართველი გარდაიცვალა. რაც შეეხება ვირუსს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამბობს, რომ ეს სამი ვირუსია ყურადსაღები.

სხვათა შორის, თქვენთან ვამბობ პირველად და მკითხველი პირველად გაეცნობა ამ ინფორმაციას, რომ არის ახალი ვირუსი – BA2.86, რომელიც წინა კვირას გამოჩნდა ისრაელში, დანიაში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. „ომიკრონზე“ უფრო სწრაფად ვრცელდება. განგაში დაიწყო და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს ამ ახალ ვარიანტს...

იმის თქმა მინდა, რომ კოვიდი უკვე არის დედამიწაზე, ერთ კვირაში, ოთხ დიდ ქვეყანაში გაჩნდა ახალი ვირუსი და ასე სწრაფად ვრცელდება... გასათავლისწინებელია, რომ ბევრი ქვეყანა, მაგალითად, საქართველო არ აკეთებს ტესტირებას კოვიდზე და მაინც ყოველდღიურად, 300 შემთხვევა ფიქსირდება.

ჩვენ ვართ თავის მოტყუების სიტუაციაში. ძალიან საინტერესოა ჩვენი სახელმწიფოს პოზიცია – ეშინიათ. განა, არ მესმის? ძალიან კარგად მესმის, რომ ნეგატივის ეშინიათ, რადგან კოვიდზე რაღაც პოსტი დავდე და ათიათასობით ნეგატიური კომენტარი წამოვიდა, ვითომ მე გამოვუშვი ეს კოვიდი (იცინის)... მარტივ ენაზე დამუშავებული ინფორმაცია გამოვაქვეყნე და ჩემ მიმართ წამოვიდა აგრესია. კოვიდზე რომ ვლაპარაკობ, აგრესია მოდის და სახელმწიფო ცდილობს, აგრესიის მინიმიზაციას.

თუმცა, უკუჩვენებას ვიღებთ – ცერცვაძე ამბობს, დღეში 300 ადამიანია ინფიცირებულიო და იმავე დღეს, მოხელე, ჯანდაცვის სამინისტროდან აცხადებს, რომ eg.5 საქართველოში არ დაფიქსირებულაო. ეს ისეთი აბსურდია... როცა უყურებ, რომ 50-ზე მეტ ქვეყანაში გავრცელებულია ეს შტამი, ათი მოწინავე ქვეყნიდან ერთ-ერთია რუსეთი. გადახედეთ თბილისისა და ბათუმის ქუჩებს და მითხარით, რომ ეს შტამი საქართველოში არ არის. ვის და რატომ ვატყუებთ? იმის მაგივრად, რომ ვაღიაროთ, პრობლემები გვაქვს, მაგრამ პანიკის საფუძველი არ არის... ერთადერთი, უნდა გავუფრთხილდეთ 70 წელს გადაცილებულ ადამიანებს, ვინც ქრონიკული პაციენტია და შესაბამისი ზომები მივიღოთ – ვინც თვლის, რომ რისკ-ჯგუფშია, გამოიყენოს პირბადე და თუ გაციებულია, დარჩეს სახლში.

დაავადებათა კონტროლის ცენტრს, ერთი წელია, დირექტორი არ ჰყავს. როცა ვირუსებია გავრცელებული და ასეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციის დირექტორს, ერთი წელია, არ ნიშნავენ, ეს იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი არ არის ეს საკითხი.

– როგორია თქვენი რეკომენდაცია მოსახლეობის მიმართ?

– ვინც ავადაა, დარჩეს სახლში და ნუ გაავრცელებს ვირუსს; 70 წელს გადაცილებულ ადამიანებს გავუფრთხილდეთ! მოერიდეთ ზედმეტ კოცნასა და ჩახუტებას! სახელმწიფოებრივ დონეზე ვიფიქრებდი, რომ კარგი იქნებოდა, სექტემბრისთვის, სამედიცინო დაწესებულებაში სავალდებული იყოს პირბადის ტარება.

– სწავლის გადავადების რეკომენდაციას იძლევით?

– არა, აზრი არ აქვს გადადებას, მაინც არაფერი შეიცვლება. თან რისკ-ჯგუფში მყოფი ადამიანების ასაკი სასკოლო არაა.

– წამალზე რას იტყვით? შეიქმნა კოვიდსაწინააღმდეგო პრეპერატი, რომელიც წარმატებით გამოიყენება?

– ანტიკოვიდური წამლების მთელი კოლექციაა. ექიმებისთვის კარგია, რომ არის ძალიან ბევრი საშუალება და იციან, როგორ მართონ პაციენტთა მდგომარეობა. შესაძლებელია, ექიმებს აქვთ იარაღი, წამლების სახით, მაგრამ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ კოვიდი არის პრობლემა, თუმცა ყველაზე დიდი გამოწვევა არის პოსტკოვიდური მდგომარეობა.

რომ ამბობენ, კოვიდი გრიპს ჰგავსო, ასე არაა, რადგან გრიპის მერე, ადამიანებს დიაბეტი, გულსისხლძარღვთა დაავადებები არ ემართებათ და მეხსიერების პრობლემა არ ექმნებათ. ნათლად ვხედავთ, რომ მსუბუქად გადატანილი კოვიდიც კი ადამიანებს უტოვებს პოსტკოვიდურ მდგომარეობას.

სახელმწიფომ კი თქვა, რომ ქვეყანაში eg.5 დაფიქსირებული არაა, მაგრამ მე, როგორც ამ დარგის ექსპერტი, გეუბნებით, ეს შტამი საქართველოში არის და არის აფეთქება! ტყუილის თქმით, არაფერი შეიცვლება. ჩართულია რუსული პროპაგანდა, ყველა ანტივაქსერული ძალის 99% დაფინანსებულია, ან შეკრულია რუსეთთან, ეს დადასტურდა არაერთი კვლევით. ხალხს ვაფრთხილებ, საპანიკო არაფერია, მაგრამ საყურადღებო სიტუაციაა...

რა ქონებას ფლობს პარლამენტარი ირაკლი ზარქუა

მაკა რუხაძე

მოკრძალებული ქონებრივი დეკლარაცია – დეპუტატის მეუღლის სახელზე გაფორმებული ბინები თბილისში

„მავნებელი ხართ, თქვენ, ქალბატონო ყოფილო ელჩო და მინდა, ეს პირდაპირ გითხრათ. თქვენ, თქვენი მისია ვერ გაითავისეთ, ვერ გაითვალისწინეთ, რომ თქვენ არა პარტიის წარმომადგენელი, არამედ, სახელმწიფოს წარმომადგენელი იყავით. ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო ელჩო, მაგრამ თქვენ, როგორც ელჩი ვერ შედექით და ეს უნდა ითქვას. ვწუხვარ, თქვენ, თქვენი საქმიანობით ქართულ საზოგადოებაში პოლარიზაცია გაზარდეთ. ალბათ, თქვენ იყავით ერთ-ერთი შემოქმედი, რომ აქ რევოლუციური ტალღა აგორებულიყო, რადგან საქართველოსა და მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებში არასდროს შედიოდა ქაოსი და არეულობა და არც მეორე ფრონტის გახსნა. მე მქონდა მცდელობა, რომ ბოლოს ლამაზი სიტყვით გამეცილებინეთ, მაგრამ, სამწუხაროა, რომ ასე მოხდა... ასე რომ, Goodbye, my darling“, – ამ სიტყვებით დაემშვიდობა ამერიკის შეერთებული შტატების აწ უკვე ყოფილ სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, კელი დეგნანს მეათე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, ირაკლი ზარქუა.

ზოგადად, ბოლო დროს, ირაკლი ზარქუა სწორედ ასეთი, მკვეთრი განცხადებებით გამოირჩევა. ამის გამო, ის ოპოზიციური ფლანგის ერთ-ერთი სამიზნეა – ხან სახელმწიფო ტენდერებიდან „ატკატებში“ სდებენ ბრალს, ხან მეტყველებას უწუნებენ, ხან იუმორს და ხან ტაქტსა და ზრდილობას. „ვერსია“ სწორედ ირაკლი ზარქუას ქონებრივი დეკლარაციით დაინტერესდა, მაგრამ ვიდრე ბიოგრაფიასა და ქონებას გაგაცნობთ, გეტყვით, რომ ცნობილი დიზაინერი, ნანა ზარქუა მისი დაა, ხოლო პოპულარული სპორტსმენი, ალექსანდრე ამისულაშვილი – სიძე.

ჯერ ბიოგრაფიით დავიწყოთ. ირაკლი ზარქუა 1982 წლის 16 იანვარს, წალენჯიხაში დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, არის ეკონომიკისა და ბიზნესის მაგისტრი.

2003-2006 წლებში, ირაკლი ზარქუა „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ წევრი იყო; 2006-2009 წლებში – თიბისი ბანკის ოპერატორების ცენტრალიზებულად დამუშავების განყოფილებას ხელმძღვანელობდა; 2011-2014 წლებში – სადაზღვევო კომპანიაში მუშაობდა; 2017-2018 წლებში – თბილისის საკრებულოს ქონებისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ხელმძღვანელობდა; 2018-2020 წლებში – თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ; 2020 წლიდან, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, საარჩევნო ფორმა – პარტიული სიით.

რაც შეეხება ქონებას, საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე, დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ ქონებრივი დეკლარაცია ბოლოს, 2022 წლის 26 დეკემბერს შეავსო. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ჰყავს მეუღლე – მარინე თავართქილაძე და ორი ქალიშვილი – ნინო და ანასტასია.

დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მარინე თავართქილაძემ, როგორც გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორმა, უხელმძღვანელა შოთა რუსთაველის ეროვნულ-სამეცნიერო ფონდის პროექტს, საიდანაც შემოსავლის სახით, 15 348 ლარი მიიღო. გარდა ამისა, მარინე თავართქილაძე სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორიცაა და შემოსავლის სახით, 14 112 ლარი მიუღია. პარალელურად, დეპუტატის მეუღლე „თიბისი დაზღვევის“ დეპარტამენტის უფროსიცაა, საიდანაც შემოსავლის სახით, 67 852 ლარი მიუღია. რაც შეეხება თავად ირაკლი ზარქუას, მას, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წევრსა და საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, შემოსავლის სახით, 48 559 ლარი მიუღია.

ქონებრივ დეკლარაციაში არაა მითითებული, კონკრეტულად რა ქონებას ფლობს ირაკლი ზარქუა, ან ჰყავს თუ არა ავტომობილი. სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, 2021 წელს შევსებულ დეკლარაციასაც გავეცანით, საიდანაც ვიგებთ, რომ თბილისში, ირაკლი ზარქუას საკუთრებაში, ბინა არ აქვს. სამაგიეროდ, დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მის მეუღლეს, მარინე თავართქილაძე, 2014 წელს, თბილისში, კარტოზიას ქუჩაზე, 100 000 ლარად შეიძინა 80.27 კვ.მ. ფართობის ბინა, რომლის 100%-იან წილსაც თავადვე ფლობს.

რაც შეეხება ავტომობილს, 2021 წლის ბოლოს შევსებული დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ირაკლი ზარქუას ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა – Toyota Camry, რომელიც 2015 წლის გამოშვებაა. დეპუტატმა ავტომობილი 2021 წელს, 8 000 აშშ დოლარად შეიძინა.

2020 წლის ბოლოს შევსებული დეკლარაციიდან ირკვევა, რომ 2012 წელს, მარინე თავართქილაძეს 100 000 ლარად შეუძენია 74 კვ.მ. ფართობის ბინა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი თავადვეა.

როგორ განვითარდა ეკონომიკა პოსტპანდემიის პერიოდში

მთავარი ეკონომიკური გზავნილები პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით

მაკა რუხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ბოლო წლებში, ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ეკონომიკური მდგრადობისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიმართულებით. პოსტპანდემიის პერიოდში, ფუნდამენტური ეკონომიკური რეფორმების ფონზე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიკის სტრუქტურა; ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების, მათ შორის, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველო წარმატებით გაუმკლავდა მის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ყოველწლიურ ანგარიშში, რომლითაც ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტის წინაშე, ივლისის დასაწყისში წარსდგა, დეტალურადაა აღწერილი ყველა ის ღონისძიება და რეფორმა, რაც პოსტპანდემიის დროს, ქვეყანაში გატარდა. „ვერსიის“ წინა ნომერში, ინფრასტრუქტურისა და ტრანპორტის მიმართულება გაგაცანით. ამჯერად, ეკონომიკური განვითარება, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობა და დასაქმების პოლიტიკა განვიხილოთ.

ეკონომიკური განვითარება

პრემიერ-მინისტრის ანგარიშიდან ვიგებთ, რომ 2021 წლის მსგავსად, 2022 წელი სავსე იყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევებით, რამაც გავლენა მოახდინა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ხოლო გამოწვევები საპასუხო და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვდა. გეოპოლიტიკური შოკებისა და რუსეთ-უკრაინის ომით განპირობებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველომ შეძლო არა მხოლოდ ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება, არამედ, 2022 წელსაც, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა და 10.1% შეადგინა.

„2022 წელი, ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებით, იყო მნიშვნელოვანი გაჯანსაღებისა და გაუმჯობესებების წელი. ეკონომიკური აქტივობის ზრდას ხელი შეუწყო, როგორც შიდა, ასევე, საგარეო მოთხოვნის ზრდამ. 2022 წლის ეკონომიკური ზრდა იყო საკმაოდ დივერსიფიცირებული და მასში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი შეიტანა ტრანსპორტისა და დასაწყობების, მშენებლობის, ენერგეტიკის, მრეწველობისა და მომსახურების სექტორში, მათ შორის, ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებში ეკონომიკური აქტივობის ზრდამ. პოზიტიური ტენდენციები ეკონომიკური ზრდის მიმართულებით 2023 წელსაც გაგრძელდა, შესაბამისად, წინასწარი შეფასებით, 2023 წლის პირველი კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 7.2% შეადგინა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) პროგნოზით, 2023-2028 წლებში, საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ზრდა რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის, საშუალოდ, 5.1%-ის ოდენობით“, – ვკითხულობთ პრემიერის ანგარიშში.

ეკონომიკური აქტივობის ზრდა პოზიტიურად აისახა შრომის ბაზრის მაჩვენებლებზეც, კერძოდ, 2022 წელს, დასაქმების ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება დაფიქსირდა, ხოლო სიღარიბემ ისტორიულ მინიმუმს მიაღწია.

რაც მთავარია, 2022 წელს, პოზიტიური ტენდენციები დაფიქსირდა, როგორც საქონლის ექსპორტის, ასევე, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისითაც. 2022 წელს, ექსპორტი გაიზარდა 31.8%-ით და რეკორდული მაჩვენებელი – 5.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წლის იანვარ-აპრილში, ექსპორტის ზრდის ტენდენცია გაგრძელდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 23.6%-ით გაიზარდა და 1.962.2 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა.

„პოსტპანდემიურ პერიოდში, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის მნიშვნელოვანი იყო ტურიზმის სწრაფი აღდგენა, ამ მხრივ, საკმაოდ პოზიტიური დინამიკა დაფიქსირდა. 2022 წლის ივლისიდან, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები პანდემიამდელ მაჩვენებელს აჭარბებს. 2022 წელს, მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების დონემ 7.6%-ით გადააჭარბა 2019 წლის დონეს და 3.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც რეკორდული მაჩვენებელია. პოზიტიური დინამიკა გაძლიერდა 2023 წელსაც. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვნად, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 102%-ით გაიზარდა და 795.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის დონეს 37.5%-ით აღემატება“.

რეგიონში შექმნილი სიტუაციისა და გლობალური გამოწვევების მიუხედავად, 2022 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 61.1%-ით გაიზარდა და რეკორდული, 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელთან შედარებით, ზრდა 47.9%-ია. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნების წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 43%-ია.

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორ განვითარდა ეკონომიკა პოსტპანდემიის პერიოდში

მე-7 გვერდიდან

„2022 წელს, პანდემიის პარალელურად, რუსეთ-უკრაინის ომმა და დაძაბულმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ რეგიონში, პოსტპანდემიური აღდგენის პროცესში მყოფი ეკონომიკისთვის, ახალი რისკები გააჩინა და გააძლიერა ინფლაციური წნეხი. რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა და მიწოდების შეზღუდვებმა მსოფლიო ბაზრებზე, საქონლის გარკვეული კატეგორიების ფასები მნიშვნელოვნად გაზარდა. შესაბამისად, როგორც განვითარებულ, ასევე, განვითარებად ეკონომიკებში ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ინფლაციამ უკვე გაიარა პიკური პერიოდი. 2022 წლის მაისიდან (13.3%), მას კლების ტენდენცია აქვს და 2022 წლის ბოლოს, 9.8%-მდე შემცირდა. 2023 წლის აპრილში, წლიური ინფლაციის დონემ 2.7% შეადგინა, მოსალოდნელზე მეტად შემცირდა და ჩამოცდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მიზნობრივ მაჩვენებელს – 3%-ს“.

არსებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველომ შეძლო, შეენარჩუნებინა სუვერენული საკრედიტო რეიტინგი. სარეიტინგო კომპანიების – Fitch-ის, S&P-ის, Moodys'-ის შეფასებით, საქართველომ უზრუნველჰყო რეიტინგის შენარჩუნება პანდემიამდე მაჩვენებლის დონეზე და კრიზისის დაძლევა, რეიტინგის გაუარესების გარეშე. 2023 წლის დასაწყისში, კი Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურისკენ გააუმჯობესა.

თანამშრომლობა საფინანსო ინსტიტუტებთან

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას სხვადასხვა განვითარების პარტნიორთან, პრიორიტეტული პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად, გაფორმდა 19 სასესხო/საგრანტო შეთანხმება, დაახლოებით, 764 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საგარეო ფინანსურ რესურსზე: გერმანიის განვითარების ბანკთან (KFW), საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), აზიის განვითარების ბანკთან (ADB), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან (IBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID). რაც მთავარია, დაახლოებით, 343 მილიონი აშშ დოლარი – საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამების, ხოლო 421 მილიონი აშშ დოლარი – საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად.

„საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი ფინანსური რესურსი მიიმართება კომუნალური ინფრასტრუქტურის, ირიგაციის, ურბანული განახლების, ენერგოეფექტურობის, ტრანსპორტის, განათლების, ენერგეტიკისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გასაძლიერებლად, ასევე, სხვა პროექტების დასაფინანსებლად.

წლის ბოლომდე, დაგეგმილია ხელმოწერა, მოლაპარაკება და კონსულტაციები გერმანიის განვითარების ბანკთან (KFW), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან (IBRD), საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და აზიის განვითარების ბანკთან (ADB), დაახლოებით, 200 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსის მოსაზიდად“.

დასაქმება

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2022 წელს დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდა აისახა შრომის ბაზრის პოზიტიურ ტენდენციებზეც. 2022 წელს, უმუშევრობის დონე, წინა წელთან შედარებით, 3.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ისტორიული მინიმუმს – 17.3%-ს გაუტოლდა. უმუშევართა რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 48.3 ათასი ადამიანით შემცირდა და 267.9 ათასი შეადგინა.

„დასაქმებულთა რაოდენობა 2022 წელს მნიშვნელოვნად – 66.3 ათასით გაიზარდა და 1.283.7 ათასი შეადგინა. 2022 წელს, დასაქმების დონე 42.9%-ს გაუტოლდა, რაც წინა წელთან შედარებით, 2.5 პროცენტული პუნქტით მეტია. პანდემიის შემდგომ, 2021 წლის მესამე კვარტლიდან, სტაბილურად ფიქსირდება დასაქმების ზრდა, ხოლო 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტლებში, დასაქმებულთა რაოდენობამ გადააჭარბა პანდემიამდელი პერიოდის (2019 წლის მესამე და მეოთხე კვარტლები) მაჩვენებელსაც (შესაბამისად, 47.4 და 28.3 ათასით). დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა განპირობებული იყო, როგორც დაქირავებით დასაქმებულების, ასევე, თვითდასაქმებულთა ზრდით“.

სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“, სამუშაოს მაძიებლებისთვის კვლავ აგრძელებს დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებას. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა აქტივობის განხორციელების შედეგად, 2022 წელს, დასაქმდა 12 645 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 8 811 პირი სოციალურად დაუცველია. 2023 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით – 3 815, საიდანაც 3 600 სოციალურად დაუცველი მოსარგებლეა. პროფესიული გადამზადება აირჩია 609 პირმა.

„მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსების ფარგლებში, 2022 წელს, სწავლა დაასრულა 1 313-მა მოსარგებლემ, ხოლო 2023 წელს, პირველ კვარტალში, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კომპონენტში ჩაერთო 33 მიმწოდებელი, სწავლების პროცესში ჩაერთო 563 სამუშაოს მაძიებელი. ამასთან, სტაჟირების კომპონენტში, 2022 წელს, ჩაერთო 24 დამსაქმებელი და 283 სტაჟიორი, მათ შორის, 12 შშმ პირი. აღნიშნულის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, დასაქმებულია 151 სამუშაოს მაძიებელი.

საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, 2022 წელს, დამსაქმებლების მიერ წარდგენილ 10 017 თავისუფალ სამუშაო ადგილზე დასაქმებულია 671 სამუშაოს მაძიებელი. 2023 წლის პირველ კვარტალში, დამსაქმებლების მიერ წარდგენილ 2 716 თავისუფალ სამუშაო ადგილზე, ვაკანსიების ფარგლებში, შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 295 სამუშაოს მაძიებელი“.

მოქალაქეთა და დამსაქმებელთა ინფორმირების მიზნით, მუდმივად ტარდება დასაქმების ფორუმები. 2022 წელს, დასაქმების 14 ფორუმი ჩატარდა, ღონისძიების ფარგლებში, დასაქმებულია 578 სამუშაოს მაძიებელი. საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამის ფარგლებში, 32 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი პირი დასაქმდა.

„გრძელდება ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევები შრომის ბაზარზე, რეგიონების მიხედვით, მოთხოვნადი პროფესიებისა და შესაბამისი მოთხოვნადი უნარების იდენტიფიცირების მიზნით. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული **„საქართველოს ადამიანური კაპიტალის“ პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს, სააგენტო გეგმავს, შეიმუშაოს მოთხოვნადი უნარებისა და პროფესიების ხუთწლიანი პროგნოზიების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიით განხორციელებული კვლევის შედეგებს სამომავლოდ დაეფუძნება სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დიზაინიც. მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი (ამჟამად, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტმა უკვე გაიარა მესამე მოსმენა), რომელიც უზრუნველჰყოფს საქართველოში მოქმედი კერძო საშუამავლო კომპანიების სავალდებულო სერტიფიცირებას, შრომითი ემიგრაციის პროცესებზე სახელმწიფო მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, შრომითი მიგრაციის (ემიგრაცია/იმიგრაცია) მონაცემთა სპეციალური ელექტრონული სისტემის შექმნასა და განვითარებას, ადგილობრივ შრომის ბაზარზე უცხოელთა დასაქმების პროცესის საკანონმდებლო დონეზე რეგულირებასა და მათ დასაქმებაზე სახელმწიფო მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას და სხვა“.**

გარდა ამისა, გრძელდება მუშაობა დასაქმებისა და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარების, მათ შორის, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებისთვის ლეგალურად დროებითი დასაქმების შესაძლებლობების გახსნის მიმართულებით.

სამართალი

№31 23 აგვისტო 2023 წ

შანტაჟი ინტიმური კადრებით

ისტორიები, რომლებიც დაგშოკავთ

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას სამართალდამცავებმა თურქეთის მოქალაქე დააკავეს, რომელიც ქართველ ქალთან თანაცხოვრობდა, დაშორების შემდეგ კი, ქალისთვის გადაღებული შიშველი ფოტოებით ვიდეო-კოლაჟი შექმნა და მის ახლობლებს გაუგზავნა. ახლა მას სასამართლო და 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდება. სამწუხაროდ, ანალოგიური დანაშაულები საქართველოში ძალიან მომრავლდა. მეტიც, ამ ყველაფერმა ფეხი არასრულწლოვნებშიც მოიკიდა და შიშველი ფოტოების გამოქვეყნების შიშით, არასრულწლოვან გოგონებს სექსზეც კი მარტივად ითანხმებენ. ცალკე საკითხია, რატომ შიშვლდებიან იგივე არასრულწლოვნები, რატომ აძლევენ სხვას ნებას სურათები გადაუღონ, ან თავად რატომ უგზავნიან ფოტოებს. რამდენიმე ისტორია, რომლებსაც ახლა გიამბობთ, საქართველოში მხოლოდ მიმდინარე წელს მოხდა. კიდევ გავიმეორებთ, ასეთი ფაქტები საგანგაშოდ მომრავლდა და შიშველი ფოტოებით შანტაჟი, თითქოს, ყოველდღიურობად იქცა.

ქვემო ქართლის ერთ-ერთ ქალაქში, ახალგაზრდა ბიჭმა ბინა იყიდა და შემდეგ მისი გაქირავება დაიწყო. თითქოს, უცნაური არაფერია, მაგრამ მეზობლებს ის უკვირდათ, რომ ბინაში ერთ თვეზე მეტხანს არავინ ჩერდებოდა და ბიჭიც ბინას ან მხოლოდ გოგონებზე, ან მხოლოდ ქალებზე აქირავებდა. ბინა ბოლოს ორმა აზერბაიჯანელმა ქალბატონმა იქირავა, რომლებიც იქვე, ახლომდებარე რესტორანში მუშაობდნენ, ერთი – მზარეულად, მეორე – დამლაგებლად. სწორედ მათი მიმართვის საფუძველზე დაიწყო მოკვლევა და სამართალდამცავებმა ბიჭი დააკავეს. მისი დაპატიმრების შემდეგ გაიგეს მეზობლებმა, რა ხდებოდა. აი, რა წერია გამომძიებლის პატაკში.

„ეჭვმიტანილი უ.ფ. კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. მან ბინის გაქირავება მას შემდეგ დაიწყო, რაც აბაზანაში ფარული ვიდეოთვალი დააყენა (სულ 3 ცალი). ერთი ვიდეოთვალი აბაზანას გვერდიდან იღებდა, მეორე – ზედხედით, მესამე კი ტრაპში იყო ჩამონტაჟებული. ვიდეოთვალები მხოლოდ მაშინ ირთვებოდა, როცა აბაზანაში ვინმე შედიოდა ანუ ყველაფერი მოძრაობის სენსორებით იყო გაკეთებული, კვების წყარო კი ჰაერის გამწოვში იყო ჩამონტაჟებული. მდგმურებისთვის რამდენიმე ვიდეოს გადაღების შემდეგ, ბინის მეპატრონე მათთან მიდიოდა, ვიდეოს აჩვენებდა (თავდაცვის მიზნით, არ უგზავნიდა) და ეუბნებოდა, რომ პოლიციაში წასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან სამართალდამცავები ვერასდროს იპოვიდნენ ვიდეოს, ის ისეთ ადგილზე ჰქონდა დამალული, დანაშაულს ვერ დაუმტკიცებდნენ და შემდეგ, როცა გამოუშვებდნენ, ვიდეოს სოციალურ ქსელში ანონიმურად ატვირთავდა. სანაცვლოდ, ერთჯერადად, სოლიდურ თანხას სძალავდა მდგმურებს და შემდეგ ბინიდან აგდებდა, რადგან ახალი მსხვერპლი ეძებნა. ბინის გაქირავების ფასი კი იმდენად იაფი იყო, რომ ბევრს ხიბლავდა“...

გამოძიებამ დაადგინა, რომ ამ გზით ბიჭმა ათამდე ქალბატონი გააბითურა და ფული გამოსძალა, ერთ მათგანს, რომელსაც ფულის შოვნის შანსი არ ჰქონდა, სექსუალური ურთიერთობაც აიძულა. სწორედ იმის გამო, რომ მსხვერპლთა უმრავლესობას არ ჰქონდა პოლიციის იმედი ანუ სჯეროდათ, რომ ბიჭი ყველა ფაილს საგულდაგულოდ მალავდა და ვერავინ იპოვიდა, სამართალდამცავ ორგანოებს არ მიმართა. სამაგიეროდ, მიმართა ორმა აზერბაიჯანელმა ქალბატონმა, რომლებსაც ბიჭზე გადასაცემი ფული ძალოვნებმა მისცეს, შემდეგ კი, იგივე ბინა უკვე შსს-ს თანამშრომელმა გოგონამ იქირავა. როცა მეპატრონემ მორიგი ვიდეო გადაიღო და ფულის გამოძალვისთვის მივიდა, უკვე მას იწერდა ვიდეოთვალი ისე, რომ მან არაფერი იცოდა და ყველაფერი ძალიან მალე დასრულდა – ბიჭი დააკავეს და სამწუხაროდ, მხოლოდ 9 წელი მისცეს.

შიდა ქართლში სკოლის მოსწავლემ თანაკლასელს თავბრუ დაახვია, მიყვარხარ, უშენოდ არ შემიძლიაო და აიძულა, წელს ზემოთ გადაღებული შიშველი ფოტოები გაეგზავნა. გოგონამ ორი ფოტო გაგზავნა ისე, რომ სახე არ უჩანდა, შემდეგ კი, როცა ორი კვირა გავიდა და ბიჭმა ფოტოები „ბოროტად არ გამოიყენა“, გათამამდა, სახეც გამოაჩინა და სრულადაც გაშიშვლდა. ამის შემდეგ, ნამდვილი ჯოჯოხეთი დაიწყო. ისევ საგამოძიებო უწყების არქივიდან:

„ეჭვმიტანილმა გოგონას არა მარტო ფოტოების, არამედ, ვიდეოს გაგზავნაც აიძულა, რის შემდეგაც, ფოტოების კლასელებისთვის ჩვენების შიშით, კლასელი სექსზე დაითანხმა და აიძულა, მასთან კონტაქტი ჰქონოდა. შემდეგ, ისევ ფოტოებისა და ვიდეოს გავრცელების მუქარით, მან აიძულა, სექსუალური ცხოვრება მეგობართან ჰქონოდა, სანაცვლოდ, მეგობარს 200 დოლარი გამოართვა“...

საქმე მას შემდეგ გასკდა, რაც გოგონა დაორსულდა და საავადმყოფოში მუცლის არეში ტკივილებით მარტო (და არა – მშობლებთან ერთად) მივიდა. საბედნიეროდ, არასრულწლოვნის ორსულობის შესახებ არსებული პროტოკოლი საავადმყოფოს ექიმებმა სრულად დაიცვეს და მომხდარის შესახებ სამართალდამცავებს აცნობეს. ამის შემდეგ დაიწყო ძიება და არასრულწლოვნისთვის სექსუალური ცხოვრების იძულების ბრალდებით, ორივე ეჭვმიტანილი დააკავეს, თუმცა რადგან ისინიც არასრულწლოვნები იყვნენ, სასჯელი ისეთი მკაცრი ვერ იყო, როგორსაც იმსახურებდნენ. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ გოგონაზე ოჯახმა უარი თქვა და ის დღემდე თავშესაფარში რჩება, სადაც პატარა ბიჭს ზრდის, თუმცა ამბობენ, რომ ჯერ კიდევ არ იცის, დაკავებული ორი მოზარდიდან, რომელია ბავშვის მამა.

არც თუ შორეულ წარსულში, დიდი სკანდალი იყო, როცა გაირკვა, რომ ერთ-ერთი სკოლის მძღოლი სკოლის მოსწავლეს „ეჩალიჩებოდა“. ამის ამსახველი ვიდეოკადრებიც გავრცელდა და სკოლის დირექტორი, რომელიც მძღოლის ცოლი იყო, თანამდებოიდან წავიდა. ამის ფონზე, დაიჩრდილა ამბავი, რომელიც აღნიშნული სკანდალიდან მალევე მოხდა. დამამთავრებელი სკოლის მოსწავლეები ორდღიან ექსკურსიაზე წავიდნენ, უკან დაბრუნების დროს კი, გვარიანად დალიეს და გოგო-ბიჭები ისეთი მთვრალები იყვნენ, დაქირავებულ სამარშრუტო ტაქსიში ვინ ვის თავზე, თუ კალთაში არწყევდა, ვეღარავინ არჩევდა. საბოლოოდ, მძღოლმა მოახერხა და ბავშვები სახლებში დაარიგა, ბოლოს კი ერთი გოგონა შერჩა, რომელიც უგონოდ მთვრალი იყო და მისამართი რომელიღაც კლასელმა უთხრა. მამაკაცმა გოგონა სახლის ნაცვლად, ქალაქგარეთ წაიყვანა, გააშიშვლა და ფოტოები გადაუღო. სამწუხაროდ, არა მარტო გოგოს გადაუღო, თავადაც გაშიშვლდა და ვითომ სექსუალური აქტის იმიტაცია შექმნა, შემდეგ გოგონას ტელეფონიდან საკუთარ მობილურზე ზარი გაუშვა, ჩანთიდან პატარა სარკე ამოაცალა და სამი დღის შემდეგ დაურეკა, აქაოდა, მანქანაში სარკე ვიპოვე და მგონი, შენი უნდა იყოს, დაგიბრუნებო. გოგონამ უთხრა, რომ მისვლას მხოლოდ მეორე დღეს შეძლებდა და არც ის გაუპროტესტებია, კაცმა ერთ-ერთი რესტორნის შესასვლელთან რომ დაუთქვა შეხვედრა.

„ახალგაზრდა გოგომ მოგვმართა, რომელმაც გამოთქვა ეჭვი, რომ ექსკურსიიდან შინ დაბრუნების დროს, რაღაც მოხდა. ის ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა და არაფერი ახსოვდა, მაგრამ დილით აღმოაჩინა, რომ საცვალი უკულმა ეცვა. მას გაუჩნდა ეჭვი, რომ სიმთვრალეში, საცვალი ვიღაცამ გახადა და ამას კლასელები არ იზამდნენ. ის მძღოლზე ეჭვობდა და როცა მან დაურეკა და სარკის დაბრუნება შესთავაზა, ეჭვი განუმტკიცდა, რადგან მას მძღოლისთვის ნომერი არ მიუცია. ის განყოფილებაში მოვიდა და ეჭვი გაგვიზიარა. მოხდა მისი შესაბამისი აპარატურით აღჭურვა და შეხვედრაზე წასული გოგოს სხეულზე დამაგრებული ვიდეოთვალი ყველა დეტალს იწერდა“, – წერია გამომძიებლის პატაკში.

მძღოლმა გამარჯვებული სახით დაუდო წინ სურათები და ღიმილით უთხრა, რესტორნიდან ჩემთან მივდივართო. რა თქმა უნდა, სახლის ნაცვლად, ეჭვმიტანილი პოლიციაში წაიყვანეს, მაგრამ ისევ სამწუხაროა, რომ მას მხოლოდ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, რადგან ფოტოებით არ უსარგებლია და სექსუალურ ურთიერთობაზე იძულება ვერ მოასწრო.

და ერთიც – 1982 წელს, დედამ 3 წლის შვილი საავადმყოფოში მას შემდეგ წაიყვანა, რაც ბავშვს გული აერია. მანამდე დედა მაღაზიაში იყო წასული და ბავშვი მეზობელ ქალს დაუტოვა, რომელიც იფიცებდა, ბავშვისთვის არაფერი მიჭმევია, ჩემი შვილი ეთამაშებოდა ოთახშიო და შვილი ჯარიდან დაბრუნებული, 20 წლის მუტრუკი იყო. ბავშვს გული საავადმყოფოშიც აერია და ექიმს სითხე არ მოეწონა, რაღაც უცნაური სჭირს ბავშვსო და სითხეზე ლაბორატორიული შემოწმება ჩაატარებინა. პასუხი მტკიცე და საშინელი იყო – სპერმა! სამართალდამცავებმა 20 წლის ბიჭი დააკავეს, რომელმაც დანაშაული მხოლოდ მას შემდეგ აღიარა, რაც დაუმტკიცეს, რომ სპერმა სწორედ მას ეკუთვნოდა. სასამართლო მალევე ჩაინიშნა (მანამდე, ის ოჯახი მეზობლებმა ლამის ლინჩის წესით გაასამართლეს და კორპუსიდან გააძევეს), თუმცა ბრალდებულს სასამართლომდე მისვლა არ დასცალდა – კამერაში, სადაც ბრალდებული ჩამომხრჩვალი იპოვეს, კიდევ ოთხი პირი იმყოფებოდა, მათ შორის, სამი ე.წ. კანონიერი ქურდი და ისინი ერთხმად აცხადებდნენ, დილით ზეწარზე ჩამომხრჩვალი ვნახეთ, წარმოდგენა არ გვაქვს, თავი რატომ მოიკლაო. სამართალდამცავებმა „დაუჯერეს“ და საქმე თვითმკვლელობის ვერსიით დაიხურა.

შემზარავი ისტორია – როგორ მოიტაცა გავლენიანმა მამამ შვილის გადასარჩენად ობოლი ბიჭი

კრიმინალური ამბავი, რომელსაც ანალოგი არ აქვს

ბათო ჯაფარიძე

ჩამოიწერებოდა ხოლმე, ხოლო ოფიციალურად „ნაყაჩაღარი“, სიმთვრალეში, გალინა ბრეჟნევას შეეძლო, დაქალისთვის ეჩუქებინა, ან საყვარელი მამაკაცისთვის (მათ საკმაოდ ხშირად იცვლიდა) ეფეშქაშა.

ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, ანალოგი საქართველოში არ აქვს, თუმცა როგორც კი ყველაფერი გახმაურდა, იგივე რამ ჩინოვნიკებმა რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და თურქმენეთშიც გააკეთეს. არადა, ყველაფერი ძალიან ბანალურად და თითქოს მარტივად დაიწყო.

ახალგაზრდა გოგო გზაზე გადადიოდა, როცა მას მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა. გოგონა მსუბუქად დაშავდა, ფეხზე მაშინვე წამოდგა და როცა მანქანიდან გადმოსული ახალგაზრდა დაინახა, გადაირია. მძღოლი ფხიზელი აშკარად არ იყო და გოგონას აქეთ დაუწყო ჩხუბი, რას დახტიხარ გზებზე, ვერ ხედავ, მანქანით მოვდივარო. დაზარალებულმა ხმამაღლა ჩაილაპარაკა, მილიციაში გიჩივლებო და თან მანქანის ნომერს დააკვირდა. ყველაფერ ამას ათამდე გამვლელი უყურებდა, მაგრამ ავტომობილის სერიასა და ნომერს რომ შეხედეს, მიახლოება ვერ გაბედეს. „ბლატნოი“ ნომრები მაშინაც მოდაში იყო და სამართებელივით ჭრიდა, თუმცა გოგონას შორს წასვლა არ ეწერა. როგორც კი მუქარა გაიგონა, ბიჭმა მანქანიდან სამართალდამცავების შეიარაღებაში არსებული ხელკეტი ამოიღო და ახალგაზრდა ქალს უმოწყალოდ გაუსწორდა, შემდეგ კი ისევ ავტომობილში ჩაჯდა და როცა იქაურობას ტოვებდა, წაქცეულ გოგოს ორივე ფეხზე გადაურა. მილიციაში მხოლოდ ერთმა ადამიანმა დარეკა, მანაც ქუჩის ტელეფონიდან, სახლიდან ვერავინ გაბედა და კიდევ გავიმეორებთ, რომ მაშინ 70-იანი წლების მიწურული იყო ანუ პერიოდი, როცა წესით, სოციალისტურ სახელმწიფოს ყველაფერი საუკეთესოდ უნდა ჰქონოდა და მოსახლეობას მსოფლიოში ყველაზე ბედნიერად ეგრძნო თავი.

ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა, ბიჭი დამნაშავედ სცნეს და საქმე სასამართლოს გადასცეს. გოგონა, რომელიც მამით ობოლი გახლდათ, გაოცებულიც კი იყო, გავლენიანი ჩინოვნიკის შვილი ასე მარტივად რომ გაიმეტეს ციხისთვის, მაგრამ სასამართლოზე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა – მოსამარლემ ბრალდებული შეურაცხადად სცნო და ფსიქიატრიულში იძულებითი მკურნალობა დაუნიშნა. ეს იმდენად სასაცილო განაჩენი იყო, გოგონამ და დედამისმა გააპროტესტეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. შემდეგი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი აღარ მიიღო, აქაოდა, ექიმების დასკვნა გვაქვს და ამ დასკვნას ვერავინ შეცვლისო. მთელი უბედურება კი ის გახლდათ, რომ შემთხვევის შემდეგ, დაზარლებული ეტლს მიეჯაჭვა და ექიმები ვერ ამბობდნენ, ოდესმე შეძლებდა თუ არა ისევ გავლას. ისე ჩანდა, რომ ოჯახი განაჩენს შეეგუა, მაგრამ მომხდარიდან სამი თვის თავზე, დაზარალებულსა და მის დედას ნამდვილი შოკი ელოდათ. დედა საღამოს შვილს ეტლით ასეირნებდა, როცა ერთ-ერთი რესტორნიდან სწორედ ის ბიჭი გამოვიდა, რომელიც წესით, ფსიქიატრიულში უნდა ყოფილიყო და ემკურნალა. ბიჭი ისევ მთვრალი გახლდათ, როცა გოგონა დაინახა, დააკვირდა, აშკარად იცნო, შემდეგ კი ქედმაღლურად უთხრა – „აგერ, ჩემი დარიგება გაგითვალისწინებია, შენც ტრანსპორტით დადიხარ და არა – ფეხით!“ დედა-შვილი მაშინვე პროკურატურაში წავიდა და იმდენი მოახერხეს, საქართველოს მთავარ პროკურორთან მიღებაზე ჩაეწერნენ და შეხვდნენ კიდეც.

პროკურორმა დედა-შვილს გულდასმით მოუსმინა, დახმარებას დაპირდა, შემდეგ კი, პარტიულ ელიტასთან გაარკვია, რამდენად შორს წასვლა შეეძლო და რისი უფლება ჰქონდა. ზემდგომებმა უთხრეს, რომ თუ რაიმეს მოქექავდა, შეეძლო, ბოლომდე წასულიყო, ოღონდ სასამართლოს გადაწყვეტილება ეჭვქვეშ არ უნდა დაეყენებინა ანუ სასამართლო ხელშეუხებელი იყო, მაგრამ თუ არ სრულდებოდა მოსამართლის მითითება, უნდა დასჯილიყო ფსიქიატრიულის ხელმძღვანელობა და ის ადამიანები, რომლებსაც კონტროლი ევალებოდათ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე. პროკურატურა საქმეს შეუდგა. მთავარმა პროკურორმა მოკვლევა პატიოსნებითა და პრინციპულობით გამორჩეულ კადრს დაავალა.

პირველ რიგში, პროკურორი ფსიქიატრიულში მივიდა. იმის მიუხედავად, რომ პროკურორის დანახვაზე ფსიქიატრიულის მთავარი ექიმი კინაღამ შიშით მოკვდა, თავის დაჭერა მოახერხა და როცა კონკრეტულ პაციენტზე ჰკითხეს, შვებით ამოისუნთქა – რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაწყვეტილება სრულდება და თქვენთვის საინტერესო პიროვნება ადგილზეაო. პროკურორმა მასთან გასაუბრება მოისურვა, მაგრამ უარი უთხრეს, ისეთ მდგომარეობაშია, გამორიცხულია, ადეკვატური პასუხები გაგცეთო. მაშინ პროკურორმა მისი ნახვა მოისურვა და უპრობლემოდ ანახეს. ფსიქიატრიულის პაციენტის ნახვის შემდეგ, პროკურორმა ზემდგომს შემდეგი უპატაკა – „მე ვნახე ბრალდებული, რომელიც მკურნალობას გადის ფსიქიატრიულ კლინიკაში. ჩემი დაკვირვებით, გამორიცხულია, რამდენიმე დღის წინ, ამ ბიჭს სიარული შეძლებოდა. ის არის ფსიქიატრიულის ნამდვილი პაციენტი და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მას ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება“.

მთავარი პროკურორი გაოცდა – ის წამითაც კი არ უშვებდა აზრს, რომ დედა-შვილმა იცრუა, მაგრამ ასევე დარწმუნებული იყო, რომ არც ხელქვეითი იკადრებდა ტყუილს ანუ დაზარალებულებმა მართლა ნახეს ის ბიჭი და... პროკურორმაც მართლაც ნახა ფსიქიატრიულში, წამლებზე მყოფი ბიჭი, რომელსაც რეალურად, ამ ქვეყანასთან არაფერი აკავშირებდა და თავისი სამყარო ჰქონდა. ერთადერთ ვარიანტად ის რჩებოდა, რომ მშობლებმა გაიგეს დაზარალებულები მთავარ პროკურორამდე რომ მივიდნენ, შვილი წაიყვანეს ფსიქიატრიულში და რამდენიმე დღეში წამლებით ისე გაჭყიპეს, რომ ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს. თუმცა, ეს საერთო სურათში არ ჯდებოდა – მამა ერთადერთ შვილს ყველაფრის უფლებას აძლევდა და ასე უბრალოდ არ გაიმეტებდა.

პროკურატურამ აგენტურული ქსელი აამუშავა და სამ დღეში ზუსტად იცოდნენ, რომ მათთვის საინტერესო ახალგაზრდა მამის მეგობრის სახლში ცხოვრობდა და ფსიქიატრიული დაავადებების არაფერი ეტყობოდა. მეტიც, მასთან ყოველ საღამოს ადიოდნენ მეგობრები და გვარიანი ღრეობაც იმართებოდა. მაშინ, ვინ იყო ბიჭი ფსიქიატრიულიდან? მთავარი პროკურორი, შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ, მოქმედებაზე გადავიდა და ფსიქიატრიულში საპროკურორო შემოწმებით შევიდა, ჩინოვნიკის ბიჭი კი დააკავეს. ბიჭები ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, გაჭრილი ვაშლივით არა, მაგრამ სურათით რომ გენახათ, ამოცნობა აშკარად გაჭირდებოდა. ფსიქიატრიულის ექიმმა ხელები გაასავსავა, მე არაფერი ვიცი, ორი თვის წინ, მამამ და დედამ მოიყვანეს ეს ბიჭი, საბუთებიც მაჩვენეს და თავადაც ხედავთ, რომ აშკარად ჩვენი პაციენტიაო. ახლა, ან მამა უნდა ალაპარაკებულიყო, ან ძალოვნებს უმძიმესი და ხანგრძლივი სამუშაო ელოდათ. ჩინოვნიკმა გარანტია მიიღო, რომ მას არ დაიჭერდნენ, მაგრამ სამსახურიდან გაუშვებდნენ და მისი შვილიც, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, 5 წელზე მეტს არ მიიღებდა.

„ჩემი შვილი არაერთხელ დავიხსენი უსიამოვნო ისტორიიდან, მაგრამ ამ ყველაფერს ბოლო არ უჩანდა. ერთხელ, ქუჩაში ეს ბიჭი დავინახე, ჩემს შვილს ძალიან ჰგავდა, იმდენად, რომ თავიდან შვილი მეგონა. გავიგე ვინ იყო და რას წარმოადგენდა. დედა ზრდიდა, მამა გარდაცვლილი ჰყავდა და მისი მისამართი დავიმახსოვრე. როცა შვილი ყველაზე დიდ უსიამოვნებაში გაეხვა და ციხე რეალურად დაემუქრა, ექიმებთან ჩავაწყვე და ფსიქიკურად დაავადებულის სტატუსი მისცეს. ჩემმა მძღოლმა და მისმა ძმამ ეს ბიჭი მოიპარეს, ნაცნობმა ექიმებმა შესაბამის კონდიციამდე მიიყვანეს და როგორც ჩემი შვილი, ისე ჩავაბარე ფსიქიატრიულში. იმის მიუხედავად, რომ შვილს 6 თვე სახლიდან გამოსვლა ავუკრძალე, არ დამიჯერა და დაზარალებულსაც გადაეყარა. რა უნდა მექნა? ერთადერთი შვილი მყავს და კარგია თუ ცუდი, ჩემი შვილია“, – განაცხადა მაღალჩინოსანმა.

მოპარული ბიჭის დედა მალე იპოვეს. ქალს შვილის დაკარგვაზე განცხადება ჰქონდა დაწერილი და მილიციას ყოველდღე აკითხავდა, ახალი ხომ არაფერია, მაგის გარდა, არავინ მყავსო. საბედნიეროდ, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, ბიჭი ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა. დამნაშავე 5 წლით ციხეში გაისტუმრეს, ჩინოვნიკი კი... მხოლოდ ექვსი თვით დაასვენეს, შემდეგ მეზობელ რესპუბლიკაში, მართალია, ადრინდელზე ნაკლებ, მაგრამ მაინც საკმაოდ გავლენიან თანამდებობაზე დანიშნეს, თუმცა მისთვის ყველაფერმა აზრი მას შემდეგ დაკარგა, რაც პატიმრობის მესამე წელს, მისი შვილი ტუბერკულოზით გარდაიცვალა.

ბათო ჯაფარიძე

ფილმი „ეშმაკის ადვოკატი“, ალბათ, ყველას გაქვთ ნანახი (თუ არა, ნახეთ). ლეგენდარული ალ პაჩინო და კიანუ რუვზი საოცარ დუეტს ქმნიან. ზოგადად, ადვოკატი ერთ-ერთი უმადური პროფესიაა, გამართლდება ბრალდებული და ბოლო ხმაზე ყვირის, მართალი ვიყავი, ხომ არ გამამტყუნებდნენო და თუ გამტყუნდა, ყველაფერი ადვოკატის ბრალია. არის საქმეები, რომლებსაც, წესით, ხელს არცერთი ადვოკატი არ უნდა ჰკიდებდეს და ხშირად არც ჰკიდებენ ხოლმე, მაგრამ შემდეგ, საქმეში სახაზინო ადვოკატი ერთვება.

ცნობილი ადვოკატი საკუთარ კაბინეტში დაახრჩვეს

როგორ შემოაკვდა 9 წლის ბიჭი მოტოციკლეტისტს და რა მოხდა სასამართლოზე

ყველა დროსა და ეპოქაში იყვნენ „საქმის მკეთებელი“ ადვოკატები ანუ ისეთები, რომლებმაც ზუსტად იცოდნენ, ვისთვის რა უნდა მიეტანათ, როგორ უნდა გადაეცათ, რომ საქმე „გაიმასქნებოდა“. ასეთი ადვოკატები იყვნენ კომუნისტების დროსაც, ედუარდ შევარდნაძის ეპოქაშიც, ნაციონალური მოძრაობის დროსაც და არიან ახლაც. მათ, პრაქტიკულად, ყველაფერი ხელეწიფებათ, მთავარია, ბრალდებულმა არა მარტო ადვოკატის მადის დაკმაყოფილება შეძლოს.

„9 წლის ბიჭმა გადაწყვიტა, დედისთვის დაბადების დღე ორიგინალურად მიელოცა და გზაზე ცარცით წერდა – გილოცავ დაბადების დღეს. ამ დროს, მოტოციკლით ახალგაზრდა კაცმა გამოიარა, ბიჭს ვერ ააცილა, ან გვიან შენიშნა და ადგილზე მოკლა. რა თქმა უნდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ დამნაშავეს დასჯიდნენ, მაგრამ როგორც კი მისი ადვოკატის ვინაობა გავიგე, ეჭვი შემეპარა, რომ მას რეალურ სასჯელს განუსაზღვრავდნენ. ცოდვა გამხელილი სჯობს, მოსამართლე ჩემი თანაჯგუფელი ქალი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ უმაღლესში ვერ ვიტანდით ერთმანეთს და რაღა თქმა უნდა, მისი მოწყალების იმედი არ უნდა მქონოდა. მეტიც, როცა ნახავდა, რომ საქმე მე გამოვიძიე, ყველაფერს იღონებდა, ოღონდ კი ისეთი განაჩენი დაეყენებინა, მე რომ გავმწარებულიყავი“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც გამომძიებელმა ივარაუდა. მოსამართლემ დაადგინა, რომ ბავშვი გზის არასწორ მონაკვეთზე ხატავდა ცარცით და მოტოციკლისტს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ იქ ვინმე იქნებოდა. ამიტომაც, მისი ქმედება გაუფრთხილებლობით შეფასდა და 2 წელი პირობითი სასჯელი ერგო. გარდაცვლილის მამა პირდაპირ სასამართლო პროცესზე დაემუქრა, როგორც ბრალდებულს, ისე ადვოკატს, თუმცა ასეთ მუქარებს ადვოკატი მიჩვეული იყო და ზუსტად იცოდა, რომ ერთი-ორი კვირა კარგად უნდა დამალულიყო, შემდეგ კი, მსხვერპლს გაბრაზება გაუვლიდა. ორი კვირა მალე გავიდა და... ადვოკატი საკუთარ კაბინეტში გარდაცვლილი იპოვეს. მკვლელმა ის საკუთარი ჰალსტუხით დაახრჩო და მოგვიანებით ექსპერტმა დასკვნაში დაწერა, რომ მსხვერპლი ჯერ ყბაში დარტყმით გათიშეს, შემდეგ კი დაახრჩვეს და სავარაუდოდ, დამნაშავე ერთი იყო. იმის გათვალისწინებით, რამდენი ადამიანი ემუქრებოდა ადვოკატს, გამოძიებას მკვლელის პოვნა უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ სამართალდამცავებმა მალევე იპოვეს ქალი, რომელიც ამტკიცებდა, მკვლელი სახეზე დავინახეო.

„ორ დღეში, სასამართლო მაქვს, ჩემი ადვოკატი იყო და ბოლო კონსულტაციებისთვის მივედი, რათა დაგვეზუსტებინა, რა და როგორ უნდა მეთქვა. ამ დროს, მის კაბინეტში ძალიან გაბრაზებული კაცი შემოვარდა, ჯერ ყვირილი დაიწყო, მერე უთხრა, ხომ დაგპირდი, მოგკლავო. შემეშინდა და გამოვიქეცი, მაგრამ დაზუსტებით შემიძლია ამოვიცნო, თუ რა თქმა უნდა, მის სურათს, ან მას ცოცხლად მანახებთ“, – განაცხადა ქალმა.

აბა, გამომძიებელს სავარაუდო მკვლელის სურათი საიდან უნდა ჰქონოდა, ამიტომ ქალს ფოტო-რობოტის შექმნაში სთხოვეს დახმარება და რამდენიმე ნაკვთის ამოყვანის შემდეგ, წინ იმ კაცის სურათი დაუდეს, ბოლო სასამართლო პროცესზე რომ დაემუქრა ადვოკატს. ქალმა უყოყმანოდ დაადო ხელი, სწორედ ეს იყო იმ დღეს მოსული და ეს კაცი ემუქრებოდაო. ეჭვმიტანილი მალე დააკავეს.

„არ ვმალავ, რომ ადვოკატთან მისული ვიყავი. ვიღაც ქალს ესაუბრებოდა, მერე ის ქალი გაიქცა, მე კი დავრჩი. ადვოკატს ვუთხარი, რამდენსაც გინდა გადაგიხდი, ბინას გადმოგიფორმებ, ოღონდ, ის მკვლელი ციხეში გამაშვებინე, ახლა ჩემი ადვოკატი გახდი-მეთქი. სიცილი დაიწყო, როცა თანხაზე ველაპარაკებოდი და იცით, რა მითხრა? როგორ გგონია, ეგ კაცი, მკვლელს რომ ეძახი, მერამდენედ დავიხსენი უსიამოვნებისგან და მერამდენედ გადამიხადაო? ის რომ თითო საქმეში ფულს მიხდის, შენ იმის ნახევარსაც არ მთავაზობ, რა ბინა, რის ბინა, აქეთ გიყიდი ბინას, ოღონდ შემეშვიო. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფერი შევაგნებინე, ამიტომ გამწარებულ გულზე, რაც ძალა მქონდა, ყბაში მოვდე და უგონოდ მიესვენა სავარძელზე. ძველი მოკრივე ვარ, არ გამიჭირდა ამის გაკეთება, თუმცა არ მომიკლავს, გათიშული დავტოვე და წამოვედი. გულის სიღრმეში, ძალიან მიხარია, რომ მოკვდა, არც იმის წინააღმდეგი ვიქნები, ჩემი შვილის მკვლელი მოკვდეს, მაგრამ მე არ მომიკლავს“, – განაცხადა დაკავებულმა.

ხომ არის შინაგანი რწმენა? ჰოდა, ამ შინაგანი რწმენით, გამომძიებლებს სჯეროდათ, რომ დაკავებული მკვლელი არ იყო, მაგრამ სხვა მოწმე, უბრალოდ, არ ჰყავდათ. ცალკე ის ქალი იკლავდა თავს, ერთ დღეში, დასკვნითი სხდომა მაქვს, მოსამართლე არავითარ შემთხვევაში არ გადადებს, ახალი ადვოკატი კი ვერ ამყავს, რადგან საქმეს ვერავინ გაეცნობა, დრო ძალიან ცოტააო. მეტიც, გამომძიებლებს ეხვეწებოდა, ეგებ, მოსამართლესთან მიშუამდგომლოთ, განაჩენის გამოცხადების დრო გადაწიოსო, მაგრამ რა თქმა უნდა, გამოძიება ამ საქმეში ვერ ჩაერეოდა. თანაც, გამოძიებას აშკარად სხვა საქმე ჰქონდა – ადვოკატის კაბინეტის ჩხრეკის შედეგად, აღმოაჩინეს უამრავი მასალა და კომპრომატი არაერთ დამნაშავეზე, რომლებიც გამართლდნენ და არაერთ მაღალჩინოსანზეც. აღმოაჩინეს ჩანაწერების წიგნი, სადაც გარდაცვლილს დეტალურად ჰქონდა აღწერილი, ვის რა თანხა გადასცა, რის სანაცვლოდ, როდის, მაგრამ საქმეს ის ართულებდა, რომ ქრთამის ამღები მოსამართლეები თუ პროკურორები, მეტსახელებით ეწერა, სავარაუდოდ, ადვოკატის მიერვე მოგონილი მეტსახელებით, რომელთა გაშიფვრის შანსი პრაქტიკულად არ იყო.

„ერთ-ერთ მოსამართლეს შინაბერად მოიხსენიებდა და ეჭვი მქონდა, რომ სწორედ ის იყო ჩემი კურსელი, რადგან გათხოვილი არასდროს ყოფილა. კიდევ ორი გაუთხოვარი მოსამართლე გვყავდა, მაგრამ მათ მიმართ ეჭვი ქრთამზე არასდროს არავის ჰქონია. მეტსახელებითა და ვარაუდით კი, საქმის აღძვრა არ გამოვიდოდა. ექსპერტები ჩანაწერების წიგნზე ორი კვირა მუშაობდნენ, შემდეგ კი ხელები უიმედოდ გაშალეს და თქვეს, რომ ეჭვი ჰქონდათ, ვინ ვინ იყო, მაგრამ მხოლოდ ეჭვის საფუძველზე, ვერაფერს გააწყობდნენ და ეს მწარე რეალობა იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ხელნაწერების გარდა, ადვოკატის ოთახში ინახებოდა რამდენიმე აუდიო-ჩანაწერი. ჩამწერი მას პირდაპირ, მაგიდის უჯრაში ჰქონდა მოწყობილი და საკმარისი იყო, ღილაკისთვის თითი დაეჭირა, ჩაწერა მაშინვე იწყებოდა. ესეც ცალკე იყო გასაშიფრი, რადგან ჩანაწერი რამდენიმე ასეული გახლდათ და გამომძიებლებმა თავიდან დიდი ინტერესით მოუსმინეს, შემდეგ კი ხელი ჩაიქნიეს, რადგან საინტერესო არაფერი იყო და რაც მთავარია, ადვოკატი მოსაუბრეს სახელით არ მიმართავდა, ხმის იდენტიფიცირება კი იმ დროისთვის წარმოუდგენელი იყო. ამის მიუხედავად, ექსპერტები ვალდებულები გახლდნენ, ყველაფერი ბოლომდე მოესმინათ და დასკვნა დაედოთ. ამისთვის, მათ ათი დღე მოითხოვეს და მეცხრე დღეს, გამომძიებელს, მაგიდაზე საინტერესო ჩანაწერი დაუდეს.

ჩანაწერის მიხედვით, ადვოკატი ერთ-ერთ კლიენტს აშანტაჟებდა. მას ბრალი შვილის განზრახ მკვლელობაში ედებოდა, ყოფილი ქმარი ადანაშაულებდა და ადვოკატი კლიენტს უხსნიდა, რომ დაგიცვა, ზუსტად უნდა ვიცოდე, შენი გაკეთებულია თუ არაო. ქალი მკვლელობას აღიარებდა, მაგრამ ნაწილობრივ. გამომძიებლებმა საქმეები გამოითხოვეს და... აღნიშნული საქმე სწორედ იმ ქალზე იყო, რომელიც ადვოკატის მკვლელობაში მთავარ მოწმედ გადიოდა და რომელიც დაკავებულ მამაკაცს ადებდა ხელს. ქალი დააკავეს და ჩანაწერი მოასმენინეს...

„ბევრი ვეძებე ეს ჩანაწერი, მაგრამ ტექნიკაში არ ვერკვევი და ვერ ვიპოვე. ჩემი ქმარი ახალგაზრდა საყვარელთან გაიქცა, მითხრა, ბავშვის გაჩენის შემდეგ გასუქდიო და მიმატოვა, მაგრამ ბავშვზე გიჟდებოდა, ყველაფერს უკეთებდა. ჰოდა, გადავწყვიტე დამესაჯა, ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემები რომ გაუჩნდებოდა, იძულებული გახდებოდა, ჩვენს გვერდით ყოფილიყო. ვერ გავთვალე, ბავშვი შემომაკვდა და ქმარმა მიჩივლა. ადვოკატს ცოტა ფული ნამდვილად არ გადავუხადე და მერე, ვითომ, მეგობრულად მაღიარებინა ყველაფერი, ჩაიწერა და სამმაგი მომთხოვა. იმ დღესაც იმიტომ ვიყავი მისული, ცოტა დამიკელი-მეთქი, მაგრამ კატეგორიულ უარზე იყო. მერე ის კაცი მოვარდა. მე ოთახიდან კი გავედი, მაგრამ არსად წავსულვარ, მინდოდა ბოლომდე გამერკვია ჩემი ამბავი. როცა ის კაცი წავიდა, ოთახში შევბრუნდი და დავინახე, უგონოდ იყო მისვენებული სავარჯელში. თავისივე ჰალსტუხით გავგუდე და იქაურობა გადავატრიალე, მაგრამ ჩანაწერი ვერ ვიპოვე“, – განაცხადა ქალმა.

ადვოკატის კაბინეტში ნაპოვნი ჩანაწერებით არაერთ ადამიანზე გაჩნდა ეჭვი, მაგრამ საბოლოო ჯამში, გამოძიება ბოლომდე მხოლოდ სამ საქმეზე გავიდა, დანარჩენი საქმეებისთვის მტკიცებულებები საკმარისი არ აღმოჩნდა.

სტიქიის ზონაში სამძებრო სამუშაოები გრძელდება – მაშველების მიერ კიდევ ერთი ცხედარია ნაპოვნი

ონის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ზონაში სამძებრო სამუშაოები გრძელდება. მაშველების მიერ მონიტორინგის შედეგად, სტიქიის ეპიცენტრიდან 55 კილომეტრის მოშორებით, კიდევ ერთი ცხედარია ნაპოვნი. სამუშაოები მიმდინარეობს მდინარეების – რიონის და ჭანჭახის კალაპოტში, ასევე, მასზე არსებულ კუნძულოვან მონაკვეთებზე, სადაც მობილიზებულია, როგორც მძიმე ტექნიკა, ასევე, მცურავი საშუალებები, ცოცხალი ძალა და კინოლოგთა ჯგუფი. მაშველების მიერ ამ დროისთვის სტიქიის ზონაში აღმოჩენილია 28 ცხედარი და საძიებო სამუშაოები მიმდინარეობს 5 პირთან დაკავშირებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა სხვადასხვა დროს, ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე დააკავეს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, დაკავებულები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1993 წელს დაბადებული ა.მ., 1985 წელს დაბადებული ს.ტ. და 1987 წელს დაბადებული, მ.ლ.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ დაკავებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცებად ამოიღეს. სამართალდამცველებმა ა.მ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, 125 შეკვრად დაფასოებული – 1 კილო და 352 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“-ს შემცველი ნივთიერება ნივთმტკიცებადაა ამოღებული. ს.ტ.-სგან კი 50 გრამამდე ოდენობის ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“ ამოიღეს, ხოლო, რაც შეეხება დაკავებულ მ.ლ.-ს პოლიციამ მისი პირადი ჩხრეკისას, ერთ შეკვრად დაფასოებული, ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაურმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, კელი დეგნანთან, რომელმაც საქართველოში დიპლომატიური საქმიანობა დაასრულა.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე – ალექსანდრე დარახველიძე და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) საქართველოს ოფისის უფროსი – სარა რუპერტი.

ვახტანგ გომელაურმა აშშ-ის ელჩს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

პროკურატურამ მარნეულში მეუღლის მკვლელობის ფაქტზე დაკავებულს ბრალდება წარუდგინა

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 19 აგვისტოს, სოფელ სადახლოში, ქმარმა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ცოლს დანით, გულმკერდის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება მიაყენა. დაზარალებული, მიყენებული ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის საქართველოში შემოტანისთვის უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე დააკავა.

უწყების ცნობით, დაკავება შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სხვადასხვა დროს, ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განხორციელდა. შსს-ის ინფორმაციით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, დაკავებულები არიან ,უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1993 წელს დაბადებული ა.მ., 1985 წელს დაბადებული ს.ტ. და 1987 წელს დაბადებული, მ.ლ. მათივე განმარტებით, დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„პოლიციამ დაკავებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცებად ამოიღეს. სამართალდამცველებმა ა.მ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, 125 შეკვრად დაფასოებული – 1 კილო და 352 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“-ს შემცველი ნივთიერება ნივთმტკიცებადაა ამოღებული. ს.ტ.-სგან კი 50 გრამამდე ოდენობის ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“ ამოიღეს, ხოლო, რაც შეეხება დაკავებულ მ.ლ.-ს პოლიციამ მისი პირადი ჩხრეკისას, ერთ შეკვრად დაფასოებული, ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თურქეთის მოქალაქე, რომელმაც ქალის შიშველ მდგომარეობაში გადაღებული ფოტოები დაზარალებულის ახლობლებს გაუგზავნა, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დააკავა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით, დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა საქართველოში ყოფნის პერიოდში ქართველი გოგო გაიცნო, რომელთანაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრობდა. ისინი ერთმანეთს პერიოდულად სოციალური ქსელებითა და სხვადასხვა ინტერნეტ აპლიკაციების საშუალებით ეკონტაქტებოდნენ, რა დროსაც ბრალდებული შიშველ მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს სურათებს ფარულად უღებდა და ე. წ. სქრინებს კუთვნილ მობილურ ტელეფონში ინახავდა. ამასთან, აღნიშნავენ, რომ დაზარალებულთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ბრალდებულმა უკანონოდ მოპოვებული სურათებით ვიდეოკოლაჟი დაამზადა და იგი დაზარალებული ქალის ახლობლებს გადაუგზავნა. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაზარალებულის მომართვის შემდეგ, მისი კონფიდენციალურობის სრული დაცვით, საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები ჩაატარა, რის შემდეგაც დაკავებული იქნა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1992 წელს დაბადებული მ.ა.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, დაკავებულს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლით წარუდგინა.

დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ქართული უჟმეები მიქაუტაძის გოლით

ევროპის ტოპ-5 ჩემპიონატმა სტარტი სრულად აიღო და რაღა თქმა უნდა, იქ მოთამაშე ქართველების ბედი გვაინტერესებს. მით უმეტეს, იქ მოთამაშე ქართველები უკანასკნელ პოზიციებზე ნამდვილად არ არიან და გუნდის ლიდერებად ითვლებიან.

იმით დავიწყოთ, რასაც მოუთმენლად ველოდით – იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში, ბედმა ისე ინება, რომ ქართული დუელი უნდა შემდგარიყო. გიორგი კვერნაძის „ფროზინონე“ ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლის“ მასპინძლობდა, მაგრამ სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს ტრავმა გაუმიზეზდა და ამის გამო, გუნდს პროზინონეში არ გაჰყვა. რაც შეეხება კვერნაძეს, თავიდანვე ცხადი იყო, რომ გუნდის ახალწვეული ძირითადში არ იქნებოდა, მაგრამ მწვრთნელმა ჩვენებური მოედანზე 67-ე წუთზე შეუშვა და შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა გიორგი კლუბში თამაშს პირველივე წუთებიდან დაიწყებს. მატჩი კი, იტალიის ჩემპიონის დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო...

საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ტურში, „მეცის“ ლიდერმა გიორგი მიქაუტაძემ საგოლე გადაცემა შეასრულა, მაგრამ საფრანგეთის მეორე დივიზიონის, გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირისგან გოლს ველოდით და აგერ, მეორე ტურში, გიომ „მარსელს“ საოცარი სილამაზისა და სირთულის ბურთი შეუგდო. იმის გათვალისწინებით, რომ „მეცი“ მრისხანე მეტოქეს კაცნაკლული ეთამაშებოდა, მიღწეული შედეგი – 2:2 აქტივში უნდა ჩავუთვალოთ, მიქაუტაძეს კი 2 ტურის შემდეგ გოლი და საგოლე გადაცემა აქვს.

გასულ სეზონში გადარჩენისთვის მებრძოლ „ვალენსიას“, წესით, ვარსკვლავები არც წელს უნდა მოეწყვიტა, მაგრამ გიორგი მამარდაშვილის გუნდმა საწყის ორ ტურში, ორი გამარჯვება მოიპოვა და ქულათა მაქსიმუმით ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერია. მამარდაშვილმა მეორე ტურში, წესისამებრ, სრულად ითამასა და მიმდინარე სეზონში პირველი მშრალი მატჩი გამოაცხო.

საქართველო მსოფლიოსთვის მზადებას განაგრძობს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. მორიგ ტესტ-მატჩში, ბორჯღალოსნებმა ამერიკელები 22:7 დაამარცხეს და გულახდილად თუ ვიტყვით, ანგარიშზე მეტად, ჩვენი გუნდის დალაგებულმა თამაშმა და ლიდერის, დავით ნინიაშვილის დაბრუნებამ გაგვახარა. ნინიაშვილი, ტრავმის გამო, მარტის შემდეგ ვერ თამაშობდა, ახლა კი დაბრუნდა და სექტემბრამდე ანუ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, ფორმაში შესვლას მოასწრებს. ამერიკელებთან შეხვედრაშიც, ნინიაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული იყო და პირველი ლელო ტაბუცაძემ სწორედ მისი პასის შემდეგ დადო.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე, საქართველოს ნაკრები კიდევ ერთ შეხვედრას შოტლანდიასთან სტუმრად გამართავს, მერე კი მსოფლიო იწყება.

ნეიმარიც არაბეთში წავიდა

თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდება, ძალიან მალე, არაბეთის პირველობა ყველაზე საინტერესო საყურებელი გახდება. სხვა ვარსკვლავების დარად, არაბეთის გზას ნეიმარიც დაადგა. ბრაზილიელმა ვარსკვლავმა „ალ ჰილალთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში, ბონუსების გარეშე, 300 მილიონ ევროს მიიღებს, ბონუსების ჩათვლით კი (გოლების შესაბამისი ოდენობის გატანის შემთხვევაში), ჯამაგირი 400 მილიონს გადააჭარბებს. ნეიმარის ყოფილი კლუბი „პარი სენ ჟერმენი“, მის სანაცვლოდ, 90 მილიონს მიიღებს, არადა, თავის დროზე, პარიზელებმა ბრაზილიელის სანაცვლოდ, 222 მილიონი გადაიხადეს.

„იყო იმის შესაძლებლობა, რომ კარიერა „ბარსელონაში“ გამეგრძელებინა და მზად ვიყავი, ყოფილ კლუბს დავბრუნებოდი, თუმცა „ბარსამ“, ხელფასის სახით, წლიურად 10 მილიონი შემომთავაზა და ეს მაშინ, როცა თუნდაც „პარი სენ ჟერმენში“ 30 მილიონი მქონდა. მერე იყო „ალ ჰილალის“ წინადადება და უარი არ მითქვამს“, – განაცხადა ნეიმარმა და ადვილი მისახვედრია, წლიურად 10 მილიონსა და 150 მილიონს შორის, დიდი სხვაობაა.

ბარემ კონტრაქტის რამდენიმე საინტერესო დეტალსაც გეტყვით. ნეიმარის განკარგულებაში იქნება კერძო თვითმფრინავი, უზარმაზარი სახლი მომსახურე პერსონალით, სოციალურ ქსელში ნეიმარის ოფიციალურ გვერდებზე ნებისმიერი რეკლამის განთავსებისთვის, სადაც საუდის არაბეთი იქნება ნახსენები, 500 ათასი დოლარი, ყოველ მოგებულ მატჩზე 80 ათასი და რაც მთავარია, მეგობარი გოგონას ჩაყვანის უფლება (საუდის არაბეთში აკრძალულია ცხოვრება ქალთან, თუ მასთან ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებით).

საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატს 26 აგვისტოს იწყებს

25 აგვისტოს, მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი აიღებს სტარტს. ისტორიაში პირველად, ამ ტურნირზე, საქართველოს ეროვნული ნაკრებიც ითამაშებს და რაღა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესი დიდია. ჩვენი ნაკრების მეტოქეები ჯგუფში კაპო ვერდე, სლოვენია და ვენესუელა არიან. სლოვენია გამოკვეთილ ფავორიტად ითვლება, მაგრამ სერიოზული ეჭვი გვაქვს, ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლა სლოვენიელებს სწორედ საქართველოსთან მოუწევთ. ჩვენი ნაკრების თავკაცმა, ილიას ზუროსმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა უკვე დაასახელა, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი, მეტოქეებზე ვთქვათ.

სლოვენიის ნაკრები გამართულ კალათბურთს თამაშობს. ეს გუნდი, 2017 წელს, ჩვენი ნაკრების ყოფილმა თავკაცმა, იგორ კოკოშკოვმა ევროპის ჩემპიონიც გახადა, თუმცა მას შემდეგ დროც არის გასული და სლოვენიის ნაკრებმაც თაობათა ცვლა განიცადა. ამის მიუხედავად, ისინი იაპონიაში ძალიან ძლიერი შემადგენლობით ჩავლენ და კიდევ გავიმეორებთ, რომ ჯგუფში პირველი ადგილისთვის, საქართველოსთან იბრძოლებენ. ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ორი ნაკრები გადის და ყველა ლოგიკით, ის ორი, სწორედ ჩვენ და სლოვენია უნდა ვიყოთ.

კაპო ვერდეს მოსახლეობა 600 ათასია და ეს ქვეყანა ყველაზე მცირერიცხოვანია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდა. ერთი შეხედვით, მათ ამბიცია უნდა ჰქონოდათ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატამდე შეკრება სამ ქვეყანაში დაგეგმეს – იტალიაში, ესპანეთსა და ამერიკაში. ახლა ნაკრები ამერიკაშია და... კალათბურთელები ქვეყნის მოსახლეობას სთხოვენ, ფული შეუგროვონ, რათა იაპონიაში ჩასვლა მოახერხონ. მათ ფული გაუთავდათ და თვითმფრინავის ბილეთებს ვერ ყიდულობენ, რათა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში ჩავიდნენ. საინტერესოა, რომ კაპო ვერდეს ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა, ბიუჯეტი ცარიელია და ფულს მოსახლეობა თუ შეაგროვებს, თორემ სხვაგვარად, ვერანაირად ვერ დაგეხმარებითო. ჰოდა, კაპო ვერდეს ღატაკი მოსახლეობა ახლა თითო დოლარს იმეტებს, რათა მათმა ნაკრებმა ამერიკიდან იაპონიაში ჩაფრენა და თამაში მოახერხოს. 26 აგვისტოს, კაპო ვერდეს პირველი მეტოქე ჯგუფში... საქართველოა.

რაც შეეხება ვენესუელას, ამ გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატამდე შვიდი ამხანაგური მატჩის ჩატარება გადაწყვიტა და შვიდივეში დამარცხდა. ახლა, იმის თქმა, რომ მათი მწვრთნელი რამეს მალავს და განსაკუთრებულ ტაქტიკას ამუშავებს, აბსურდია. ელემენტარულად, გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის განწყობა სჭირდება და ამდენი მარცხის შემდეგ, გადაწყობა ძალიან უნდა გაუჭირდეს, რაც ჩვენი ნაკრებისთვის კარგია.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ გუნდს, ილიას ზუროსმა მსოფლიოსთვის შემდეგი შემადგენლობა შეარჩია:

გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი, გოგა ბითაძე, დუდა სანაძე, მიხეილ ბერიშვილი, რატი ანდრონიკაშვილი, სანდრო მამუკელაშვილი, კახაბერ ჯინჭარაძე, ლუკა ლიკლიკაძე, გიორგი ტურძილაძე, თედ მაკფადენი, თორნიკე შენგელია (კაპიტანი).

სპალეტის იტალიის ნაკრები ჩააბარეს

ხვიჩა კვარაცხელიას ყოფილ დამრიგებელს, ლუჩანო სპალეტის იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ჩააბარეს. მისი დანიშვნის ინიციატორი ფედერაციის პრეზიდენტი, გაბრიელე გრავინა იყო, რომელმაც ახალი თავკაცის წარდგენის შემდეგ, ჟურნალისტებთან ისიც განაცხადა, რომ „ნაპოლის“ კომპენსაციას არ გადაუხდის. მოგეხსენებათ, სპალეტიმ ნეაპოლურ კლუბს გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონობა მოაპოვებინა, შემდეგ კი პოსტი დატოვა და ხელშეკრულების გაწყვეტის დროს, კონტრაქტში ჩაიწერა, სხვა სამსახურის მოძიების შემთხვევაში, სინიორ ლუჩანოს ახალი დამსაქმებელი ვალდებული იქნებოდა, „ნაპოლისთვის“, კომპენსაციის სახით, 3 მილიონი ევრო გადაეხადა.

„ფინანსური თვალსაზრისით, 3 მილიონი ბევრს არაფერს წყვეტს, მაგრამ როცა უპატივცემულოდ გექცევიან, გამაღიზიანებელია. ახლა, ამ ფულის მიღება პრინციპის საკითხია და ჩვენ სასამართლოში ჩივლის ვაპირებთ“, – განაცხადა „ნაპოლის“ პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა და თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მართლაც უჩივლებს, 3 მილიონი ევროს მიღება არ გაუჭირდება.

ჯონსონი პუტინისთვის გვარს იცვლის

კევინ ჯონსონი ამერიკელი მოკრივეა, რომელსაც კარიერის განმავლობაში, ისეთი ლეგენდების წინააღმდეგ უქნევია მუშტი, როგორებიც ტაისონ ფიური, ვიტალი კლიჩკო და ენტონი ჯოშუა არიან. ახლა კი, ჯონსონი 43 წლის მოიყარა და ამის მიუხედავად, აქტიური სპორტიდან ჯერ არ მიდის და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამართვას ბევრი ცდილობს. ამჯერად, ჯონსონმა სარეიტინგო შეხვედრა მოსკოვში, რუსი მოკრივის, მარკ პეეტროვსკის წინააღმდეგ გამართა. ეს ორთაბრძოლა ჩვენთვის საინტერესო არანაირად არ იქნებოდა, რომ არა ერთი უცნაური დეტალი. ჯონსონი აწონვაზე რუსეთის დროშის ფერებში გადაწყვეტილი მაისურით და იმავე მაისურზე ვლადიმირ პუტინის სურათით მივიდა.

„მე პუტინს ვაღმერთებ. არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც მას აღემატება. ჩემი ოცნებაა, საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდე და რუსეთის მოქალაქეობა მივიღო. მოქალაქეობის მიღებაზე საბუთები უკვე შევიტანე და პარალელურად, საბუთები შევიტანე გვარის შეცვლაზე. პუტინის პატივსაცემად, ჯონსონი აღარ ვიქნები და ჩემი გვარი ვლადიმიროვიჩი იქნება“, – განაცხადა მოკრივემ.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ასეთი განცხადებებისა და რუსეთის პრეზიდენტის უკანალის ლოკვის მიუხედავად, პეტროვსკიმ ჯონსონი გვარიანად სცემა და დაამარცხა.

დემურ დვალიშვილის ტრაგედიიდან ლარის მკვლელობამდე

მე-3 გვერდიდან

„შევარდნაძე ურეკავდა დვალიშვილს, დეპუტატები რომ მოვლენ, გაეცი კრედიტიო. დეპუტატები კრედიტს თავისთვის კი არ იღებდნენ, სხვადასხვა ფირმას შუამავლობდნენ. მას კი, ყველაფერი ეს, ჟურნალში ჰქონდა აღრიცხული. ცნობილი იყო, რომელ ფირმების სახელზე იყო გაცემული კრედიტები, მაგრამ არ უნდოდათ გამჟღავნებულიყო, ამ საქმეში გასვრილი ვინ იყო და ჟურნალი ამიტომაც გადამალეს... ჟურნალში რეგისტრირებულია ყველა დეპუტატი, ვინც დვალიშვილთან კრედიტის სათხოვნელად მიდიოდა. ეს ჟურნალი დღემდე გამქრალია. როდესაც საპარლამენტო სპეციალურმა კომისიამ დვალიშვილი პარლამენტში დაიბარა და ჟურნალი მოსთხოვა, პროკურატურამ არ გადასცა. ჟურნალი უნდა მოსთხოვონ იმჟამინდელ პროკურორ ბაბილაშვილს, ვინაიდან პროკურატურამ ის შსს-დან ამოიღო. დვალიშვილი შევარდნაძემ გამოიყენა და შემდეგ მოსაკლავად გაიმეტა!..

1992 წლის ივლისში, როცა საქართველოში ინფლაცია წავიდა, მთავრობამ მიიღო დადგენილება ანაბრების 50%-ით გაზრდის თაობაზე. თანხების გაცემა უნდა დაწყებულიყო ნახევარ წელიწადში ანუ 1994 წლის დასაწყისისთვის... არ მაქვს ინფორმაცია, რომ ეს ფული ვინმემ საქართველოდან გაიტანა. მართალია, რუსეთიდან ფულის ნიშნები აღარ შემოდიოდა, მაგრამ საკმაოდ დიდი თანხა იდო ეროვნულ ბანკში, რაც შემდეგ კრედიტების სახით გაიცა... დემურ დვალიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტად 1992 წლის ოქტომბერში დაინიშნა. მანამდე ეროვნული ბანკი მთავრობის დაქვემდებარებაში იყო. დვალიშვილს დანიშვნის შემდეგ კი სახელმწიფო მეთაურისა და პარლამენტის დაქვემდებარებაში გადავიდა. დვალიშვილი მეორე დღესვე გამოვიდა პარლამენტის სხომაზე და განაცხადა, რომ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მომხრე იყო და ამაში მხარს ედუარდ შევარდნაძე უჭერდა. ამ დღიდანვე ეროვნულმა ბანკმა უზომოდ დიდი კრედიტების გაცემა დაიწყო. რადგან ეროვნული ბანკი მთავრობის დაქვემდებარებაში აღარ იყო, ჩვენ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება აღარ გვქონდა. 1993 წლის მარტში, მინისტრთა კაბინეტში, შსს-დან შემოვიდა პირველი ინფორმაცია, რომ ბანკში ცუდი ამბები ხდებოდა. მაშინვე დავნიშნე სამთავრობო კომისია, რომელმაც ეს ინფორმაცია პირველი აპრილის დასკვნაში დაადასტურა. ამის შემდეგ, შევარდნაძეს ვთხოვე, სასწრაფოდ მოეწვია თათბირი ბანკების თანდასწრებით. საერთოდ, სესხად გასაცემი თანხების ზღვრული ნორმა სახელმწიფოს მიერ უნდა დაწესებულიყო. იმ დროისათვის ეს ნორმა წელიწადში 170 მილიარდ მანეთს შეადგენდა, მაგრამ ექვს თვეში, 400 მილიარდს გადააჭარბა. ეს იყო კატასტროფა. თათბირს, ჩემს გარდა, ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერები – რომან გოცირიძე და ზურაბ კერვალიშვილი, ეკონომიკის იმჟამინდელი მინისტრი მიხეილ ჯიბუტი, ფინანსთა მინისტრი პოპიაშილი და პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თემურ ბასილია. ჩემს გამოსვლას მხარი ყველამ ერთხმად დაუჭირა, მაგრამ შევარდნაძემ განაცხადა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა სწორიაო. ამის შემდეგ უკვე პარლამენტის სხდომაზე გავაკეთე მოხსენება, სადაც სპეციალური კომისია შეიქმნა, მაგრამ პარლამენტმა 1995 წელს ისე დაამთავრა მუშაობა, რომ ეს საკითხი აღარ განხილულა.

... დაიწყეს „პირამიდას“ თამაში, ბევრი კერძო ბანკი გაიხსნა, ფული აიღეს და მერე გაქრნენ. რას ნიშნავს „პირამიდა“? ამის საილუსტრაციოდ, ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ერთ-ერთმა ფირმამ (სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს) აიღო კრედიტი 2 მილიარდი მანეთი, ამით იყიდა საქონელი, გაყიდა საზღვარგარეთ, მიიღო მოგება 4 მილიონი დოლარი, რომელიც ვარშავის ერთ-ერთ ბანკში შეინახა. არებული კრედიტის ანუ 2 მილიარდი მანეთის დაბრუნების დროისთვის, რადგან ფირმა აღწერილი ფინანსური ოპერაციების ბოლომდე მიყვანას ვერ ასწრებდა, შეიქმნა ე.წ. „პადსტავნოი“ ფირმები „ლანა“ და „მედა“. ეროვნული ბანკიდან მათაც გამოიტანეს მილიარდმანეთიანი კრედიტი და მისცეს იმ პირველ ფირმას. მან დააბრუნა გატანილი 2 მილიარდი მანეთი, მაგრამ ამ ორ ფირმასაც ხომ ჰქონდა გადასახდელი კრედიტი? ამიტომ, ვარშავას ბანკში შეტანილი 4 მილიონი დოლარიდან მოიხსნა 600 000 დოლარი, რაც 2 მილიარდი მანეთის ტოლფასი იყო, ოპერაცია დამთავრდა. ფირმას ზუსტად 3 მილიონ 400 ათასი სუფთა მოგება დარჩა.

თქვენ გგონიათ, დვალიშვილმა თავი მოიკლა? – არა, მოკლეს! შსს-ში წასვლის წინ, დამირეკა და მითხრა, დაკითხვაზე მივდივარ და სიმართლე უნდა ვთქვაო. მის მდივან ქალს ჰქონდა ჟურნალი, სადაც ყველა გვარი ეწერა, ვისთვისაც შევარდნაძემ კრედიტის მიცემა დაავალა. ჩემი ყვირილის შედეგ, როცა ეს ამბავი გასკდა, პარლამენტში, რომან მიმინოშვილის ხელმძღვანელობით, საგამოძიებო კომისია შეიქმნა, ორი წელი იწვალა ბატონმა რომანმა, მაგრამ ჟურნალის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. ბოლოს, ეს ჟურნალი დვალიშვილს შსს-ში მიატანინეს. მან, დაკითხვაზე ყოფნისას, თავის მდივანს დაურეკა და უთხრა, ჟურნალი მოიტანეო. ასე ჩაიგდეს ხელში დვალიშვილს ე.წ. „შავი სია“, დაკითხვიდან გამოსული დვალიშვილი კი მოკლეს და ეს ჟურნალიც გაქრა“, – განაცხადა რამდენიმე წლის წინ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, თენგიზ სიგუამ.

ამავე ინტერვიუში, ყოფილმა პრემიერმა საინტერესო მინიშნება გააკეთა და მოსახლეობის გაღარიბებაში, პირდაპირ თუ ირიბად, ჟვანიასდროინდელი მწვანეთა მოძრაობა დაადანაშაულა:

„1993 წლის 2 მარტს, ეროვნულ ბანკში შევიდა ფირმა „თრიალეთის“ ფარატინა წერილი, რომელშიც ფირმის პრეზიდენტი 102 მილიარდ 700 მილიონი მანეთის სესხს ითხოვდა, ეს ფირმა მწვანეთა მოძრაობის შექმნილი იყო და დემურ დვალიშვილთან, მის შუამავალს, ზურაბ ჟვანია წამოადგენდა... ეს წერილი ეროვნულმა ბანკმა „აგრობანკს“ დააწერა. ეს იყო საუკუნის აფერა. წარმოუდგენელია, 103 მილიარდი მანეთი მისცე რაღაც ახალშექმნილ ფირმა „თრიალეთს“, თანაც უპროცენტოდ და ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე. წერილში ეწერა, რომ ფულს რუსეთის ცენტრალურ ბანკში გადარიცხავდნენ, კონვერტაციას გაუკეთებდნენ და უკან დააბრუნებდნენ. ეს იყო სისულელე, რადგან 103 მილიარდს კი არა, 1 მილიონსაც ვერავინ ვერსად გადარიცხავდა. განათლების მაშინდელმა მინისტრმა, თამაზ კვაჭანტირაძემ მოსკოვში ატესტატები დააბეჭდინა, ამისათვის 8 მილიონი მანეთი გვქონდა გადასარიცხი, ვინ აღარ ჩავრიეთ და ძლივს მოვახერხეთ და 103 მილიარდის გადარიცხვა როგორ წარმოგიდგენიათ? ეს აფერა შემდეგნაირად გასკდა: ჩემთან მოვიდნენ შსს–ს წარმომადგენლები და მითხრეს, რომ მოსკოვიდან მიიღეს მსპ-ის ტელეფონოგრამა, რომლის შინაარსიც სიტყვასიტყვით მახსოვს: „у центрального банка россии подвязались два московских афериста: гомосексуалист в очках и московская шлюха, у них на руках фалшывое авизо банка грузии на 103 милиардов рублей“... ისინი ამ საქმის გახსნაში ჩვენს შსს-ს თანამშრომლობას სთავაზობდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, მწვანეებს ფული რუსეთის ცენტრალურ ბანკში გადასახურდავებლად, ვილაც მოსკოველი ჰომოსექსუალისტისა და მეძავისთვის მიუციათ. შსს-ს წარმომადგენლებს მივეცი დავალება, რომ დილის 08.00 საათისთვის, ორი ოპერმუშაკი გადაეფრინათ მოსკოვში. დარწმუნებული ვიყავი, რომ ავიზო ყალბი იყო, თუმცა დილის 07.00 საათზე მაინც დავურეკე დვალიშვილს, დავიბარე და მოვუყევი, რომ ასეთი ამბავი მოხდა. ბატონი დემური სკამზე უხერხულად შეიშმუშნა და მითხრა, ბატონო თენგიზ, ავიზო ყალბი არაა, მე გავეციო. გავბრაზდი და რაღაც უხეშად ვუთხარი. ახლაც მახსოვს, როგორ განერვიულდა, კედელთან დადგა და გაწბილებულმა მითხრა, ბატონო თენგიზ, არ იცით, მე რა პრესის ქვეშ ვარო“.

გაუფასურების შკალა

მოკლედ, ლარის X-ფაილი ნათელჰყოფს, რომ ეროვნული ვალუტა კრახისთვის იმთავითვე იყო განწირული. ყოველ შემთხვევაში, ლარის კურსი ეროვნული ბანკის პრეზიდენტების შეცვლის პროპორციულად მერყეობდა.

მართალია, იმ დროს, როცა ეროვნულ ბანკს დემურ დვალიშვილი ხელმძღვანელობდა, ლარი, როგორც ფულის ერთეული არ არსებობდა, მაგრამ ეროვნული ვალუტის დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის ოფიციალური აღრიცხვა, სწორედ მაშინ დაიწყო. კუპონი, რომელიც ეროვნული ვალუტა კი არა დროებითი გადახდის საშუალება იყო და რომელიც მიმოქცევაში 1993 წელს გამოჩნდა, ინგლისში დაბეჭდეს. კუპონმა რყევები დაბადებისთანავე დაიწყო და მალე მკვეთრად გაუფასურდა – იყო პერიოდი, როცა 1 აშშ დოლარი 102 300 კუპონიც ღირდა. 1994 წელს კი, როცა საქართველოში ჰიპერინფლაცია განვითარდა, სახელმწიფომ კუპონის მილიონიანი ბანკნოტიც მოჭრა...

კუპონი ძალიან ახალგაზრდა – ორი წლის ასაკში „გარდაიცვალა“... 1995 წელს, ლარი დაიბადა. „მშობიარობა“ „ოცნების“ ექსმინისტრმა, ნოდარ ჯავახიშვილმა „მიიღო“ – დემურ დვალიშვილის შემდეგ, ეროვნულ ბანკს 5 წელი ანუ 1993-დან 1998 წლამდე, სწორედ ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. ახალშობილი ლარი, კუპონის ფონზე, უდღეური არ ჩანდა – 1998-მდე, გაცვლითი კურსი, 1 აშშ დოლართან მიმართებაში, 1.3 ლარის ნიშნულზე რჩებოდა. 1998 წლის შემოდგომიდან კი, რუსეთის კრიზისის პარალელურად, ლარი გაუფასურებას იწყებს და ახალი წლისთვის, 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.10 ლარს აჭარბებს. 1999 წლის თებერვალში, ლარი გაუფასურების პირველ ისტორიულ მინიმუმს – 2.45-ს აღწევს. ეროვნული ვალუტა გამყარებას 2006 წლის ბოლოდან იწყებს და 2007 წლის ბოლომდე, 1 აშშ დოლარის ფასი 1.60-1.80 ლარის ფარგლებში მერყეობს. ამ დროს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძეა.

გოცირიძის შემდეგ, ეროვნულ ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას, ორი წლის განმავლობაში, დავით ამაღლობელი ასრულებს. უცნაურია, მაგრამ აგვისტოს ომის დროს, ლარი მყარდება – 1 აშშ დოლარი 1.39 ლარი ღირს. შემდეგ კი ისევ უფასურდება და 2009 წლის 26 თებერვალს, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად გიორგი ქადაგიძე ინიშნება, 1 აშშ დოლარი 1.67 ლარად ფასობს...

რა ხდება დღეს? რა, და – ეროვნულ ვალუტას, როგორც ამბობენ, აღარც დედა ჰყავს და აღარც – მამა. სამაგიეროდ, ძალიან მალე, შეიძლება, გავიგოთ, რომ ვილაც იღბლიანმა უეცრად, ნასესხები ასი დოლარით ბიზნესი დაიწყო და სულ რაღაც ორ-სამ კვირაში, მილიარდერი თუ არა, მილიონერი გახდა.

ასე რომ, მოკალით ლარი და თქვენ გამდიდრდებით, ბატონებო!

სიმსივნეს ბიუსტჰალტერი გამოავლენს

ნიგერიელმა სწავლულმა, კემისოლუ ბოლარინვუმ შეიმუშავა ბიუსტჰალტერი, რომელსაც სარძევე ჯირკვლის კიბოს გამოვლენა შეუძლია. ქალმა Smart Bra-ს შექმნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ამ დაავადებით მისი დეიდა გარდაიცვალა. სიახლის ფართომასშტაბიანი ცდები წელსვე, ნიგერიაში ჩატარდება. მოწყობილობას, რომელიც შესაძლო სიმსივნის აღმოსაჩენად ულტრაბგერას იყენებს, დიაგნოზისთვის სულ 30 წუთი სჭირდება. გამოგონების მიზანია, ახალი მოწყობილობის დახმარებით, 2030 წლამდე, 80%-ით შემცირდეს იმ ქალთა რიცხვი, რომლებიც მკერდის კიბოთი კვდებიან, – აცხადებს სწავლული. მის პროექტს ნიგერიის მთავრობა და ბანკი Standard Chartered-ი აფინანსებენ.

„მფრინავი ხალიჩა“ შექმნეს

თანამედროვე ფილმებში არაერთხელ გვინახავს მფრინავი ჰოვერბორდები, თუმცა ახლა უკვე რეალურად შემუშავდა მისი კონცეფცია. ეს სიახლე კომპანია ARCA SPACE-ს ეკუთვნის. მან შექმნა პროდუქტი, სახელად ArcaBoard-ი, რომელიც ერთგვარი რევოლუციაა ტრანსპორტირებაში. ის ძალიან მარტივი დიზაინის მოწყობილობაა, სულ რაღაც 10 კილოგრამს იწონის და 36 ელექტროძრავასა და ბატარეას მოიცავს. ეს „მფრინავი ხალიჩა“ 272 ცხენის ძალას ანვითარებს და აქვს გაგრილების სისტემა, რომელიც მისი ინტენსიური გამოყენების საშუალებას იძლევა. ასე რომ, ვისაც ბავშვობაში ალადინის მფრინავ ხალიჩაზე გიოცნებიათ, შეგიძლიათ, ეს ოცნება აიხდინოთ და მისი თანამედროვე წარმომადგენელი 20 ათას დოლარად შეიძინოთ.

გველს ჰარისონ ფორდის სახელი უწოდეს

ბიოლოგებმა პერუში მეცნიერებისთვის აქამდე უცნობი გველის სახეობა აღმოაჩინეს და მას პოპულარული ჰოლივუდელის, ჰარისონ ფორდის პატივსაცემად, Tachymenoides Harrisonfordi უწოდეს. რეპტილიას ყვითელ-ყავისფერი შეფერილობა აქვს და მისი სიგრძე 40 სანტიმეტრს აღწევს. როგორც აღმოჩნდა, მსახიობს ეს „პატივი“ ინდიანა ჯონსის როლისთვის ერგო. გახსოვთ, ალბათ, ფორდის ეს პერსონაჟი ვერ იტანდა გველებს. ახალი სახეობა პარკ ოტიშის რთულად მისასვლელ ნაწილში აღმოაჩინეს. ჩვენს ველურ ბუნებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ აღმოსაჩენი და შეუსწავლელია. ადამიანი კი მხოლოდ პატარა ნაწილია წარმოუდგენლად ფართე ბიოსფეროში, – ასეთი კომენტარი გააკეთა თავად ჰარისონ ფორდმა ამ აღმოჩენაზე. მისი თქმით, კაცობრიობამ უნდა აღადგინოს დარღვეული ბალანსი ბუნებასთან.

უჩვეულო კონკურსი ჩაატარეს

რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში, რამდენიმე დღის წინ, სიკვდილის ღვთაების – ტანატოსის სახელობის შეჯიბრი გაიმართა. როგორც ერთ-ერთი ტელეგრამ-არხი იუწყება, ქალაქში მიცვალებულების ბალზამირების კონკურსი ჩატარდა. „ტანატოპრაქტიკის რუსულ კონკურსზე“ რეალურ გვამებს, რასაკვირველია, გვერდი აუარეს და საცდელ ნიმუშებად მანეკენები აიღეს. მათ გრიმი გაუკეთეს, შემდეგ კი მულიაჟის დაზიანებული უბნები ცვილითა და სხვა მასალებით შეავსეს. ჯერჯერობით, კონკურსში გამარჯვებულების ვინაობა უცნობია, თუმცა ცნობილია პრიზები: ბალზამირების საუკეთესო ოსტატი ჯილდოდ 200 ათას რუბლს მიიღებს, მეორეადგილოსანი – 100 ათასს, მესამე საპრიზო ადგილის მფლობელს კი საგანმანათლებლო ცენტრში „ტანატოპრაქტიკას“ უკეთესად შეასწავლიან.

ნიუ-იორკში „ტიკტოკი“ აკრძალეს

აშშ-ის ამ უდიდესი მეგაპოლისის ხელისუფლებამ, საკუთარ თანამშრომლებს მუნიციპალურ მოწყობილობებზე აპლიკაცია „ტიკტოკის“ გამოყენება აუკრძალა. მიზეზი რისკებია პირადი მონაცემებისთვის. ნიუ-იორკის მერის, ერიკ ადამსის თქმით, ეს აპლიკაცია საშიშროებას უქმნის საქალაქო ტექნიკურ ქსელებს. ქალაქის ყველა სამსახურმა „ტიკტოკი“ 30 დღის განმავლობაში უნდა წაშალოს მუნიციპალური გაჯეტებიდან და ერთი თვის შემდეგ, თანამშრომლებს მასზე წვდომა აღარ ექნებათ. ამავდროულად, აპლიკაციის მფლობელები აცხადებენ, რომ აშშ-ის მომხმარებელთა მონაცემებს არასდროს აწვდიდნენ და არ მიაწვდიან ჩინეთის მთავრობას.

სანდრა ბალოკს „ოსკარს“ ართმევენ?

2010 წელს, ჰოლივუდის ვარსკვლავმა ეს სანუკვარი ჯილდო ფილმში „უხილავი მხარე“, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მიიღო. ფილმში შეძლებული თეთრკანიანების ოჯახი უპატრონო შავკანიან ბიჭს აიყვანს და ზრუნავს მასზე. ეხმარება, გახდეს სპორტის ვარსკვლავი და ჩააბაროს უნივერსიტეტში... და აი, 13 წლის შემდეგ, ეს დამსახურებული „ოსკარი“, შესაძლოა, მსახიობს ჩამოართვან. გამოცემა TMZ-ი წერს, რომ ამერიკელი ფეხბურთელის, მაიკლ ოერის თქმით, რომელზეცაა გადაღებული ეს სურათი, ზოგიერთი მოვლენა სიმართლეს არ შეესაბამება. სპორტსმენი ამტკიცებს, რომ ის არ უშვილებიათ, მხოლოდ მეურვეობაში გადასცეს ოჯახს და რომ ამით მხოლოდ მათ იხეირეს, ბიჭს კი არაფერი მიუღია. სოციალურ ქსელებში კი უკვე დაიწყეს სანდრა ბალოკის დაბულინგება. ამტკიცებენ, რომ ამ სკანდალის გამო, ის არ იმსახურებს პრესტიჟულ ჯილდოს. თუმცა, რა კავშირი უნდა ჰქონდეს მსახიობს ფილმის სიუჟეტის შექმნასთან, ამას არავინ აზუსტებს.

34 წლის მოდელი ბებია გახდა

ბრიტანელი რეიჩელ მაკინტაირი, რომელიც სერვის OnlyFans-ის მოდელია, აცხადებს, რომ 34 წლის ასაკში, ბებია გახდა. მისმა ქალიშვილმა, რომელიც 17 წლისა დაფეხმძიმდა, ბავშვი გააჩინა. რეიჩელი კი, როგორც თავად აცხადებს, დედა 15 წლის ასაკში გახდა. ახალგაზრდა ბებიად გახდომის პერსპექტივამ ის თავიდან შეაშინა. რეიჩელი ამბობს, რომ კარგად იცის, რას ნიშნავს, ასეთ ახალგაზრდა ასაკში იყო დედა. მით უმეტეს, თუკი სამსახურში სრულად დატვირთული ხარ.

„ჩავთვალე, რომ ვალდებული ვიყავი, მას დავხმარებოდი. ახლა კი, ის სიამაყით ამბობს, რომ არავის სჯერა, რომ ის უკვე ბებიაა. ბებია კი არა, ჩემი ქალიშვილის გვერდით, მის დედადაც არავინ მთვლის, დები ვგონივართ“, – აცხადებს მოდელი. რეიჩელს 10 წლის ქალიშვილიც ჰყავს, თუმცა მისი თქმით, დიდი ენერგიაც აქვს და მას სიამოვნებით დახარჯავს შვილიშვილზე.

ტატუ-ბურგერებს ყიდიან

ტაილანდში, რესტორან Nakorn My Burger-ში, ცოტა ხნის წინ, წარადგინეს მსოფლიოში პირველი და ერთადერთი ბურგერები ტატუირებით. რესტორნის შეფ-მზარეული ფუნთუშებს უძველესი ტაილანდური სიმბოლო-თილისმებით ალამაზებს, რომლებსაც სიმდიდრის, წარმატებისა და სიყვარულის სიმბოლოებად თვლიან. რესტორანში ჩვეულებრივ ბურგერებსაც მოგართმევენ, ტატუთი დამშვენებული კი ორგვარია – კარის სოუსით, მანგოთი და ჩილი-წიწაკით, მეორე კი – ქათმისაა – წითელი ფუნთუშით. მზა საკვებს ბოლო შტრიხად, ზემოდან, სპეციალურ ტატუ-ბეჭედს არტყამენ, რომელიც სპეციალურად რესტორნისთვის შექმნა ტაილანდში ცნობილმა ტატუ-ოსტატმა. ერთი ასეთი ტატუ-ბურგერის ფასი, დაახლოებით, 6 დოლარია.

კარტოფილი კუჭის წყლულს კურნავს

ბრიტანელმა სწავლულებმა მანჩესტერის უნივერსიტეტიდან, კარტოფილში აღმოაჩინეს უნიკალური მოლეკულა, რომელსაც ჯერ სახელიც კი არ აქვს. გაირკვა, რომ ეს ნივთიერება კლავს ბაქტერიებს, რომლებიც კუჭში ანთებითი პროცესების პროვოცირებას იწვევენ. კვლევების შედეგად, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ეს ნივთიერება ამას გაცილებით ეფექტიანად აკეთებს, ვიდრე ტრადიციული ანტიბიოტიკები, რადგან მათგან განსხვავებით, ბაქტერიებს რეზისტენტულობა არ ახასიათებთ. ცნობილია, რომ კუჭის წყლულს იწვევს ბაქტერია Helicobacter Pylori, რომლის სამკურნალოდაც, ძირითადად, ანტიბიოტიკებს იყენებენ, მაგრამ მათი გამოყენება ნაწლავურ მიკროფლორას აზიანებს. ეს კი, თავის მხრივ, იმუნურ სისტემას ასუსტებს, თანაც ამ დროს, ყოველთვის არსებობს გვერდითი მოვლენების რისკიც. როგორც ჩანს, ბრიტანელი მეცნიერების აღმოჩენა დამაიმედებელია. კუჭის წყლულის მკურნალობის ახალი მეთოდი უკვე დაპატენტებულია, და სულ მალე, გაყიდვაში გამოვა „კარტოფილის წვენი“, როგორც საკვები დანამატი. მკვლევარების აზრით, ამ მარტივი მეთოდით, ნებისმიერი ადამიანი შეძლებს თავის დაცვას ბაქტერიული წყლულისა და გულძმარვისგან.

მსუქნებს ვირზე შეჯდომა აუკრძალეს

საბერძნეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ტურისტებს, რომლებიც 100 კილოგრამზე მეტს იწონიან, კუნძულ სანტორინიზე ვირებით სეირონობა აუკრძალა. ადგილობრივი აქტივისტების თქმით, „ტვირთის“ წონის გადაჭარბების გამო, ცხოველები რეგულარულად იღებენ ტრავმებს. ასევე, ახალი დადგენილებით, არ შეიძლება ავადმყოფი, დაჭრილი და ფეხმძიმე ვირების ექსპლუატირება. გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებულია, რომ ცხოველებს ყოველდღიურად უნდა მისცენ ახალი საკვები და წყალი – სუფთა კონტეინერებით.

სიცხე ქალებს ახდუნებს, კაცებს – ასუქებს

სწავლულებმა თელ-ავივიდან, 3 ათასზე მეტ მოხალისეზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დაასკვნეს, რომ ზაფხულის ცხელი დღეები მამაკაცებს დიდი რაოდენობით ჭამასა და გასუქებას აიძულებს. აღმოჩნდა, რომ მზეზე გადახურება არა მხოლოდ ოფლიანობასა და დამწვრობას იწვევს, არამედ, შიმშილის გრძნობასაც აძლიერებს, „შიმშილის ჰორმონის“ – გრლინის გამოყოფით, რის გამოც მადა ძლიერდება. მკვლევარები ამბობენ, რომ მამაკაცები, ქალებისგან განსხვავებით, სიცხეში, ყოველდღიურად, 300 ზედმეტ კალორიას იღებენ. ეს შეიძლება არც ისე ბევრი იყოს, მაგრამ, დროთა განმავლობაში, მას ჭარბ წონამდე მივყავართ. სწავლულთა ამ დასკვნას ზოგი მეცნიერი არ ეთანხმება და მამაკაცების „ჰორმონალურ შიმშილის გრძნობას“ სხვა რამეს აბრალებს: ფიზიოლოგიას, სოციალურ ნორმებს პლაჟზე დასაშვები გაშიშვლების მხრივ, სხვადასხვა ფიზიკურ დატვირთვას ქალებსა და კაცებზე, განსხვავებულ კვებას და ასე შემდეგ.

ცეკვა-სიმღერა ტვინს ანვითარებს

ცეკვა და მუსიკა ასტიმულირებს, როგორც ბავშვის, ასევე, მოზრდილი ადამიანის ტვინს, – აცხადებენ კანადელი სწავლულები, მონრეალის უნივერსიტეტიდან. ცოტა ხნის წინ, მათ ახალი კვლევა დაასრულეს, რომლის შედეგების მიხედვით, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მუსიკითა და ცეკვით დაკავებული ადამიანის ტვინი უფრო კარგად მუშაობს და ვითარდება. აღსანიშნავია, რომ ტვინის ნახევარსფეროების სტიმულირება განსხვავებულად ხდება. სპეციალისტებმა ვიზუალიზაციის მაღალტექნოლოგიური მეთოდები გამოიყენეს და ექსპერიმენტები მოხალისეებზე ჩაატარეს. ისინი სამ ჯგუფად დაჰყვეს: მუსიკოსებად, მოცეკვავეებად, იმ ადამიანებად, რომლებიც არაფრით არიან დაკავებულნი. აღმოჩნდა, რომ პროფესიონალი მუსიკოსებისა და მოცეკვავეების ტვინს, რუხი ნივთიერების ბევრ სეგმენტში აშკარა განსხვავებები ჰქონდა. განსაკუთრებით შესამჩნევი კი სენსორულ და მოტორიკულ გზებზე არსებული განსხვავება იყო.

მოღალატე ქმარს ტანსაცმელი გაუყიდა

ფილიპინებზე მცხოვრები ქალი, ჯამილია გალვესი, როცა ქმრის ღალატის შესახებ შეიტყო, დეპრესიაში არ ჩავარდნილა. მალევე მოიფიქრა, როგორ გადაეხადა სამაგიერო მოღალატისთვის და ვიდრე ორგული მეუღლე სახლში არ იყო, მისი ნივთები სოციალური ქსელით გაყიდა. პირდაპირ ეთერში მოწყობილი ვაჭრობისას, მსურველებს შეეძლოთ, ეყიდათ ძვირადღირებული ბრენდების შარვლები, პერანგები და მაისურები. „შეიძინეთ სიფრთხილით, ეს ნივთები დაწყევლილია!“ – აფრთხილებდა მყიდველებს ჯამილია. პირდაპირ ეთერში ვაჭრობა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ვიდეო 28 ათასმა ადამიანმა გადააზიარა. ქმრის ტანსაცმლის გაყიდვით მიღებულ ფულს გალვესი სამ შვილს მოახმარს. სოციალური ქსელების მომხმარებლებმა გაამხნევეს კიდეც ქალი – ეგ კაცი შენი ღირსი არ არისო.

ვაქცინა კბილების დაავადებების წინააღმდეგ

ავსტრალიელმა სწავლულებმა, მელბურნის უნივერსიტეტიდან, ახალი სტომატოლოგიური ვაქცინა წარადგინეს, რომელსაც შეუძლია, შეამციროს, როგორც ანტიბიოტიკებზე მოთხოვნა, ასევე, ქირურგიული ჩარევაც – კბილებისა და ღრძილების დაავადებების დროს. ავსტრალიელი მკვლევარები ამ თემაზე 15 წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ამის შედეგია, სწორედ ვაქცინა ქრონიკული პერიოდონტიტის წინააღმდეგ. ამ ანთებითი პროცესისას, ირღვევა ნერვებთან ახლოს მყოფი ღრძილების ქსოვილები და კბილების ფესვების გარსი, რაც დაჩირქებასა და სისხლდენას იწვევს და ძლიერი ტკივილით ხასიათდება. ეს დაავადება თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიას მოიცავს. სტატისტიკის მიხედვით, ავსტრალიაში, ყოველ მესამე მოზრდილს სჭირს პერიოდონტიტი, 65 წელს გადაცილებულებში კი – ნახევარზე მეტს. ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებულმა ვაქცინის ცდებმა, რომელიც აშშ-სა და „მწვანე კონტინენტზე„ ჩატარდა, დადებითი შედეგი გამოიღო. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კლინიკური ცდები მოხალისეებზე უკვე მომავალი წლის დასაწყისიდან ჩატარდება. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მათი გამოგონება მილიონობით ადამიანს დაეხმარება.

კიბოს დიაგნოსტიკა წყლით მოახერხეს

ესპანელმა სწავლულებმა, ბარსელონას უნივერსიტეტიდან, წყლის მოლეკულა გამოიყენეს, რათა ონკოლოგიური დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოევლინათ. მკვლევარებმა ამისთვის Tn-ანტიგენების ორი სახეობა გამოიყენეს. ისინი სიმსივნის 90%-ის შემთხვევაში ვლინდებიან და ავთვისებიანი წარმონაქმნების ინდიკატორებად ითვლებიან. წყალთან ურთიერთქმედებისას, ეს ანტიგენები სხვადასხვანაირად მოიქცნენ. მათგან პირველი, რომელიც ტრეონინთანაა დაკავშირებული, წყლის მოლეკულის წყალობით, მკვრივდებოდა, მეორე სახეობა კი, რომელიც სერინს უკავშირდება, უფრო რბილდებოდა. ამგვარად, ანტიგენების მოლეკულების ევოლუციის მიხედვით, შესაძლებელი ხდება ონკოლოგიური დაავადებების განვითარების ხარისხის დადგენა. სწავლულები კიბოს წინააღმდეგ ახალი თერაპიის შემუშავებას აპირებენ, რომლის დროსაც, Tn-ანტიგენის სინთეტიკურ ანალოგს გამოიყენებენ.

მოხუცი ნარკოტიკების მოხმარებამ შეაშინა

აშშ-ში, ფლორიდას შტატში, მოხუცმა ქალბატონმა ექიმს მეტამფეტამინი მიუტანა შესამოწმებლად. 73 წლის ბარბარა ლი რეიმ ექიმს განუცხადა, რომ შეეშინდა ეფექტის, რომელიც მასზე ნარკოტიკის მოხმარებამ მოახდინა. მედიცინის დოქტორს მან მისი მდგომარეობის შემოწმება სთხოვა და თან ორი ცელოფანის პაკეტი გადასცა კრისტალიზებული ნივთიერებით. როგორც ექსპერტიზამ აჩვენა, ის სუფთა მეტამფეტამინი იყო. ჯერჯერობით, პოლიციამ ვერ გაარკვია, საიდან აღმოჩნდა მოხუცთან ნარკოტიკი. ბარბარამ აღიარა, რომ ამ ნივთიერებას თითქმის ერთი თვის განმავლობაში მოიხმარდა. მოხუცი დააკავეს და ციხეშიც ჩასვეს ნარკოტიკის შენახვისა და მოხმარებისთვის. როგორც ამბობენ, ამ დროს ქალი ჯერ ისევ მეტამფეტამინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მოხუცი ციხიდან ორი დღის შემდეგ გამოუშვეს.

კომპანია დაკონსერვებულ ჰაერს ყიდის

შვეიცარიული კომპანია – Swissbreeze, 25 დოლარად, ყველა მსურველს საშუალებას აძლევს, მთის სუფთა ჰაერი შეისუნთქოს. ამისთვის სულაც არ არის საჭირო სადმე წასვლა, ჰაერს ბალონით თავად მოგართმევენ. „ჩვენი ალპური პროდუქტი აგიმაღლებთ განწყობას, გაგინათებთ გონებას და შესაძლებლობას მოგცემთ, შეიგრძნოთ შვეიცარიული სიმშვიდე“, – აცხადებენ კომპანიის წარმომადგენლები.

თავად ფირმა ციურიხელ, 25 წლის მორიც კრენმანს ეკუთვნის. ის რეგულარულად ადის ალპებში ჰაერის „შესაგროვებლად“. შეგროვებამდე, ჰაერს წმენდენ და ფილტრავენ. მყიდველებს კი სთავაზობენ, ყოველ საათში, ბალონიდან 30-50-ჯერ შეისუნთქონ და ფილტვები „დაიმშვიდონ“.

ხახვი სკლეროზს შველის

ხახვისა და თაფლის ერთი ერთზე ნაზავის მიღებით, შესაძლებელია, სკლეროზის დამარცხება, – ამაში დარწმუნებულები არიან იაპონელი მკვლევარები. მათი თქმით, ხახვი შეიცავს გოგირდის აქტიურ ნაერთებს. ისინი ადვილად აითვისება ჩვენი ორგანიზმის მიერ, ტვინის უჯრედებს აახალგაზრდავებს და აქტიური მოქმედების სტიმულს აძლევს. შედეგად, დაბერების პროცესი ფერხდება, აღქმის უნარი მახვილდება და მეხსიერებაც აღდგება. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ხახვის მოხმარება აუმჯობესებს განწყობას და ხელს უწყობს დადებითი ემოციების ხშირად წარმოქმნას.

უნიკალური ბაქტერია აღმოაჩინეს

გობის უდაბნოში, მკვლევარებმა ბაქტერიის უჩვეულო სახეობა აღმოაჩინეს, რომელსაც ფოტოსინთეზის „ნასესხები“ ტექნოლოგიის დახმარებით, მზის ენერგიის შთანთქმა შეუძლია. საუბარია ბაქტერია Gemmatimonas Phototrophica-ზე. ჩეხი სწავლულების თქმით, ის „ბუნების ნამდვილი შედევრია“. ასეთი მოლეკულური სტრუქტურა დედამიწაზე არცერთ სხვა ორგანიზმში არ გვხვდება. აღმოჩენით ცხადი გახდა, რომ ბაქტერიას გენების ჰორიზონტალური გადატანის ძლიერი უნარი აქვს, რაც მას ეხმარება, სწრაფად გახდეს ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ბაქტერიაში ფოტოსინთეზის მექანიზმი, შესაძლოა, მეცნიერებს დაეხმაროს მზის ბატარეებზე სინთეტიკური ბიოლოგიის განვითარებაში.

კაფსულები ოფისში ძილისთვის

ინჟინრებმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, სპეციალური კაფსულები შექმნეს, რომლებშიც ოფისში მომუშავეები ძილს შეძლებენ, ოღონდ ფეხზე მდგომები. ამ გამოგონებას ეგრეთ წოდებულ „ჟირაფს“ ეძახიან, რადგან ღამით, ეს ცხოველი მხოლოდ ვერტიკალურ მდგომარეობაში ისვენებს. კაფსულა ერთგვარ კარადას, თუ ტელეფონის ჯიხურს ჰგავს, შიგნით კი სპეციალური პლატფორმებია, რომლებიც მთელ სხეულს იჭერენ და გარედან შემომავალ ხმაურს ბლოკავენ. ჯერჯერობით, საძილე კაფსულა ორ ფერშია – ფუტურისტული „კოსმოსი“ და „ტყე“. მოწყობილობა აღჭურვილია ვენტილატორით, კვამლის დეტექტორით, ჭერისა და იატაკის განათებით, ასევე, ტანსაცმლის საკიდით. გარდა ამისა, კაფსულას თავი ეხდება, რათა იქ დასვენების მსურველმა ბუნებრივი ჰაერითაც შეძლოს სუნთქვა. მწარმოებელი სიახლეს ჰოკაიდოზე გამოუშვებს, სადაც სამსახურში, მაგიდაზე ძილი ნორმად ითვლება. ახალი მოწყობილობა კი მათ ძილს გააუმჯობესებს.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(ᲣᲐᲙ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲐᲘᲐ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ (599) 62-88-77

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔ

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ᲢᲔᲚ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.